ლელო
№ 52
(11 201)
4 – 7 ივლისი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# მეოთხედფინალები:

**გუშინ...**

**იტალია – საფრანგეთი 0–0, პენ. 3–4**
**ბრაზილია – დანია 3–2**

**დღეს...**

**გერმანია – ხორვატია 18:30**
**ჰოლანდია – არგენტინა 23:00**

**ნახევარფინალში უკვე გავიდნენ: საფრანგეთი, ბრაზილია**

პრესკონფერენცია

## საქართველო 140 ქვეყნის სპორტულ ავანგარდში

„ლელო“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში შეშფოთებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ მოსკოვში, მსოფლიო პირველ ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის გამგზავრებას საფრთხე ემუქრებოდა. მიზეზი კი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მიღების უკიდურესი გაჭიანურება იყო. ერთადერთი იმედი ქვეყნის პრეზიდენტი რჩებოდა და სწორედ მისი თანადგომით გადაიჭრა ფინანსური პრობლემა.

ამის შესახებ და თამაშებში ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობასთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებზე გამართა პრესკონფერენცია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, რომელშიაც მონაწილეობდა ჩვენი დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ჩოლარია და ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები.

პრესკონფერენციის წინ სეოკის ოლიმპიურ მუზეუმში ჯ. ბაგრატიონი მიესალმა ნაკრები გუნდების წევრებს, უსურვა მათ ჩვენი ქვეყნის საამაყო სპორტული ტრადიციების სახელოვნად გაგრძელება. „თქვენ ქართული სპორტის ხვალინდელი დღე და იმედი ხართ, თქვენ უნდა დაიცვათ ეროვნული სპორტის ღირსება მომავალ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში“ — მიმართა მან ახალგაზრდებს. ნაკრები გუნდების წევრებს იქვე მიესალმენ ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი და შოთა ხაბარელი. კალათბურთელმა ნიკა ცქიტიშვილმა კი თანატოლთა სახელით დადო ფიცი, რასაც დანარჩენები ფიცის ტექსტზე ხელმოწერით შეუერთდნენ.

პრესკონფერენციაზე ჯ. ბაგრატიონმა ამომწურავი პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. მართალია, თამაშები ოლიმპიური ასპარეზობის მოდელით ტარდება, მაგრამ ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებებზე დაშვების კონკრეტული წესი მოქმედებდა (რეიტინგი, ნორმატივი და ა.შ.). ამასთან, მკაცრად იყო განსაზღვრული სახეობებში მონაწილეთა რაოდენობაც. მაგალითად, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, სრული გუნდით ასპარეზობის უფლება მხოლოდ მასპინძლებს მისცეს. ჩვენ კი 8-8 წონაში გამოვალთ, რაც ჯ. ბაგრატიონის განმარტებით, დიდი დათმობა იყო, რადგან ბევრი ქვეყანა გაცილებით ნაკლები ფალავნით იქნება წარდგენილი. ითქვა ისიც, რომ მედლებს სწორედ ჭიდაობაში მოველით, თუმცა სიურპრიზი შეიძლება სპორტის სხვა სახეობებმაც შემოგვთავაზონ. დიდ პატივადაა მიჩნეული ისიც, რომ კალათბურთში (12 მონაწილე) და ფეხბურთში (18) ჩვენები მინიმუმამდე შემცირებული გუნდების კვოტაში მოხვდნენ.

პირველები თამაშებში ფეხბურთელები ჩაებმებიან. ისინი 6 ივლისს ჩავლენ მოსკოვში, სრული დელეგაცია კი თბილისიდან საგანგებო რეისით 9 ივლისს გაემგზავრება, შინ კი 20 ივლისს დაბრუნდებიან. მოსკოვში ყველაფერი მოგვარებულია, ჩვენს დელეგაციას ყურადღებას და მზრუნველობას არ მოაკლებს დეპარტამენტისა და სეოკის სპორტული წარმომადგენლობა რუსეთის ფედერაციაში თამაზ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით. ზემოთ ხსენებული სპორტის სახეობების გარდა, ჩვენები გამოვლენ სპორტულ (4) და მხატვრულ (5) ტანვარჯიშში, ძიუდოში (8), მძლეოსნობაში (5), ჩოგბურთში (4) მაგიდის ჩოგბურთში (3), ფარიკაობაში (10), პროგრამაშია აგრეთვე ცურვა და სინქრონული ცურვა, სადაც ჩვენები არ გამოვლენ, სათამაშო სახეობებიდან კი ფრენბურთს და ხელბურთს, კალათბურთი და ფეხბურთი ვამჯობინეთ, რადგან ამ ოთხიდან, ორი სახეობა უნდა შეგვერჩია.

ჯ. ბაგრატიონმა მადლობით მოიხსენია განათლების სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი (დირექტორი მერაბ მეტრეველი), პრესა და ტელევიზია, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს თამაშებისთვის მზადების პერიოდში თავჩენილი პრობლემების მოგვარებაში.

„გუმათი“ — „ლელო“

**გუშინ.** საღამოს, ორკვირიანი შეკრების შემდეგ ლაგოდეხიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელსაც წვრთნის ვახტანგ კოპალეიშვილი. ჩვენი სპორტსმენები მოსკოვში მსოფლიო პირველი ახალგაზრდული თამაშების პროგრამით იასპარეზებენ (ჭაბუკთა ევროპის შეჯიბრება კოპალეიშვილის გუნდმა შარშან ლისაბონში მოიგო). საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჯგუფში იქნებიან აშშ-ს, პოლონეთისა და თურქეთის კოლექტივები.
**სათამაშო განრიგი:** 8 ივლისი, საქართველო-აშშ; 10 ივლისი, საქართველო-პოლონეთი; 12 ივლისი, საქართველო-თურქეთი. ჯგუფური ტურნირიდან შემდეგ ეტაპზე ბრძოლას 2-2 გამარჯვებული აგრძელებს.

### მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან ***60 წლისთავს*** ულოცავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ***თენგიზ ბოლქვაძეს.***

## „დინამო“ ესტონეთის შეკრებაზე ახალი შენაძენით გაემგზავრა

2 ივლისს საქართველოს 9-გზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ესტონეთს გაემგზავრა, სადაც ახალი საფეხბურთო სეზონისათვის უკეთ მომზადების მიზნით შეკრებას გამართავს. გუნდის მთავარი მწვრთნელის მურთაზ ხურცილავას თქმით: „ფეხბურთელები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან საქმეს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა“. კოლექტივში საკმაო ცვლილებები ხდება. სატრანსფერო სეზონი თვის ბოლოს მიიწურება, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ „დინამოს“ გუნდი დატოვეს მეკარე ირაკლი ზოიძემ, მცველმა ნუგზარ ლობჟანიძემ და ნახევარმცველმა გიორგი კიკნაძემ. სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა — ექვსწლიანი განშორების შემდეგ თბილისურ კლუბში დაბრუნდა ცნობილი მეკარე ნიკა ჩხეიძე, რომელიც საკმაოდ წარმატებით გამოდიოდა გერმანულ „ჰომბურგში“. ნიკა გამოცდილი ფეხბურთელია, საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი და მისი მოსვლით, ვფიქრობთ, „დინამოში“ მეკარის პრობლემა უნდა გადაწყდეს. გუნდში სხვა ცვლილებებიცაა, მაგრამ ტრანსფერებს დასრულებული სახე მხოლოდ ევროპის საკლუბო ტურნირების დაწყებისათვის მიეცემა (22 ივლისი).

მატჩი №58. ნანტი. „ბიჟუ“. 39 500 მაყურებელი.

**ბრაზილია — დანია 3–2 (2–1).**

*ბრაზილია:* ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, დუნგა, რივალდო, ლეონარდო (ემერსონი, 72), რონალდო, ბებეტო (დენილსონი, 66)
*დანია:* შმაიხელი, რიპერი, ჰოგი, ჰაინცი, კოლდინგი, იორგენსენი, ჰელვეგი (შიონბერგი, 85), ნილსენი (ტოფტინგი, 46), მ. ლაუდრუპი, მიოლერი (სანდი, 70)
*გოლები:* 0-1 იორგენსენი (2), 1-1 ბებეტო (12), 2-1 რივალდო (28), 2-2 ბ. ლაუდრუპი (49), 3-2 რივალდო (68).
*გააფრთხილეს:* რ. კარლოსი, კაფუ, ჰელვეგი, ალდაირი, კოლდინგი, ტოფტინგი.
*მსაჯი:* ჯამალ ჰანდერი (ეგვიპტე).

ეს არ იყო შებოჭილი მატჩი, მეტოქეებმა ღია, ნამდვილ, მართლაც შთამბეჭდავად მომხიბლავი თამაში აჩვენეს, რითაც ასე ფასობს ფეხბურთი. შეიძლება ითქვას, ეს იყო მატჩი, რომელმაც დაამშვენა მიმდინარე ჩემპიონატი. მეოთხედფინალში, როგორც ვნახეთ, ღირსეული მეტოქეები დადგნენ პირისპირ, მათ დაამტკიცეს რომ ორივე გუნდი იყო ნახევარფინალის ღირსი, მაგრამ ეს უფლება მხოლოლდ ერთ მათგანს უნდა მიეღო და ეს ბედნიერება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ბრაზილიელებს ხვდათ წილად.

ასეთი ნერვებაშლილი, ისტერიკამდე მისული მარიო ზაგალო ალბათ არავის უნახავს. მატჩის მეორე ტაიმში წუთითაც არ დამჯდარა სკამზე. სანერვიულო ჰქონდა კიდეც — მატჩის მეორე წუთზევე დანიელებმა, ძმებმა ლაუდროპებმა მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს მეტოქის მარცხენა ფლანგზე, საიდანაც იორგენსენს „მიართვეს“ საგოლე პასი.

ბრაზილიელებს 10 წუთი დასჭირდათ, რათა საპასუხო გოლი გაეტანათ და გონს მოსულიყვნენ — ბებეტომ რონალდოს მშვენიერი გადაცემა გოლად აქცია. ტაიმის შუაწელში ბრაზილიელებმა კიდევ ერთხელ გაიხარეს — თავიანთი კაპიტნის დუნგას მიერ წამოწყებული კომბინაცია რონალდომ გააგრძელა და რივალდო ისეთ პოზიციაში გაიყვანა,რომ გოლის არგატანა თითქმის შეუძლებელი იყო.

და მაინც, დანიელებს ნიჭიერი მწვრთნელი ჰყავთ — ბო იუნჰანსონი განთქმულია თამაშში გონივრული კორექტივების შეტანით. თუ წინა მატში ნიგერიელებთან მან პირველად გამოიყვანა მოედანზე მიოლერი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, ამჯერად თამაშში ტოფტინგი ჩართო, რომელმაც მკვეთრად შემოატრიალა მატჩის მსვლელობა. სწორედ მისი აქტიურობის წყალობით და რობერტო კარლოსის შეცდომის გამო, უმცროსმა ლაუდრუპმა ანგარიში გაათანაბრა. ბრაზილიელებს დაბნეულობა დაეტყოთ. მიუხედავად ამისა, ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა და რივალდომ ბრწყინვალე შორეული დარტყმით ბრაზილიელები ნახევარფინალში გაიყვანა. დანიელებს ფარხმალი არ დაუყრიათ და საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ლამის გაქვითეს კიდეც ანგარიში — ბურთი ხარიხას მოხვდა...



ფაბიენ ბართეზის თავგანწირვამ ფრანგები ნახევარფინალში გაიყვანა!

იტალია-საფრანგეთი იხ. მე-5 გვ.

### ყურადღება!

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია 8-12 ივლისს ატარებს საზაფხულო ფესტივალს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანების მქონე ინვალიდებისთვის. ფესტვალი გაიხსნება 8 ივლისს „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო კომპლექსში 11 საათზე და დაიხურება 12 ივლისს ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 11 საათზე.

### ვულოცავთ კოლეგებს!

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, დედაქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების მაღალ-პროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის, გაზეთ „თბილისის“ რედაქციის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა.

**ღირსების ორდენით:** ***შალვა გოქაძე*** — ფოტოჟურნალისტი, ***მარინე მაისურაძე*** — განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; ***ნოდარ ყირიმლიშვილი*** — პასუხისმგებელი მდივანი; ***მირიან ჭიჭინაძე*** — განყოფილების გამგე.
**ღირსების მედლით:** ***ლიანა გოდერძიშვილი*** — განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; ***ზაურ მაისაია*** — განყოფილების გამგე: ***ნარიტა მამისეიშვილი*** — უფროსი კორესპონდენტი; ***იულიან ტოლიაშვილი*** — განყოფილების გამგე; ***მზია ჭოხონელიძე*** — უფროსი კორესპონდენტი.
**გამოეცხადათ მადლობა:** ***ანდრო ბოჭოიძეს*** — მხატვარს; ***ლალი ზორაქიშვილს*** — კორესპონდენტს, ***ინეზა ლეკვეიშვილს*** — კორესპონდენტს, ***ნანა ლოლაძეს*** — რედაქციის გამგეს, ***დინარა ლუკავას*** — კორექტორს, ***ელგუჯა ნადარეიშვილს*** — ფოტოკორესპოდენტს, ***ლია სიხარულიძეს*** — გაზეთის თანამშრომელს, ***შალვა ქორიას*** — მიმომხილველს, ***თამარ შაიშმელაშვილს*** — უფროს კორესპონდენტს, ***იოსებ ჭუმბურიძეს*** — სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს.



## მერაბ ჟორდანია – ბევრისთვის აგრე ნანატრი კანდიდატი

**როგორც იქნა, მოხდა ის, რასაც ჩვენს საფეხბურთო საზოგადოებრიობაში ბევრი მოელოდა — მერაბ ჟორდანიამ ოფიციალურად წამოაყენა თავისი კანდიდატურა სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე.**

ქართულ ფეხბურთში ახლა უკვე ახალგაზრდობას სურს თქვას თავისი სიტყვა, ლაპარაკია იმ ახალგაზრდობაზე, რომელსაც საკმარისი გამოცდილება უკვე გააჩნია და სურვილი აქვს ჩვენი საფეხბურთო ინდუსტრია სხვა რელსებზე გადაიყვანოს, დრომოჭმულ მართვის სტილს ბოლო მოუღოს, თანამედროვეობას თვალი გაუსწოროს, ქართულ ნიჭსა და ფენომენს სწორი მიმართულება მისცეს. მაგრამ ერთია უნარი, სხვაა თუ შესძლებს კაცი თავისი უნარის მაქსიმალურად გამოყენებას. სადაო არ უნდა იყოს, რომ ქართულ ფეხბურთს აშკარად ესაჭიროება ახალი სისხლი — წინა ეპოქას, თუ მას თანამონაწილეების ეპოქა მიჰყვა, „ნაბიჯი წინ“ ნაღდად არ გამოგვივა. ყველა ეპოქას თავისი დრო აქვს და მი-

იხ. მე-3 გვ.

თავისუფალი ჭიდაობა | იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი უფრო დანვრილებით

# ხმაურიანი დაბრუნება

**ამ ჩემპიონატზე უსახსრობის გამო 2-3 ფალავნის მივლინებას ვარაუდობდნენ, მაგრამ, როცა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ დარწმუნდა, მედლის მოპოვება სხვებსაც შეეძლოთ, ყველაფერი იღონა, რომ ყველა ღირსეული მიევლინათ მაკედონიაში.**


ოთარ თუშიშვილი


მიხეილ ტურაშვილი


ალექსი მოდებაძე

როგორც „ლელოს" წინა ნომერში ვიუწყებოდით, საქართველოს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 20 წლამდე ასაკის 6 ფალავანი მონაწილეობდა მაკედონიის ქ. რადოვიჩში გამართულ იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში. ჩვენები შინ 5 მედლით დაბრუნდნენ. რედაქციაში მოვიწვიეთ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი,


მამუკა არუთინიანი


თამაზ გეგეშიძე

რომელიც ჩემპიონატზე ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

● *ბატონო ომზარ, გილოცავთ წარმატებას...*

— დიდი მადლობა, ეს არის ქართული საჭიდაო სკოლის წარმატება და იმის დასტური, რომ ჩვენი სახელოვანი ფალავნების ტრადიციები გაგრძელდება. ამ ასაკისანი სანახევროდ უკვე ძირითადი ეროვნული ნაკრების წევრები არიან

● *5 მედალი მართლაც შთამბეჭდავია, სრული გუნდით რომ წასულიყავით...*

— ყურადღება იმათზე შევაჩერეთ, ვისაც მედლის მოპოვების ნაღდი შანსი ჰქონდა. სრული შემადგენლობით უკეთეს შედეგს მივაღწევდით გუნდურ პირველობაში. ახლა კი IV ადგილს დავჯერდით.

● *ასეთი რანგის ჩემპიონატში კონკურენცია ყოველთვისაა, რამდენი ქვეყანა და ფალავანი მონაწილეობდა ამჯერად?*

— 26 ქვეყნის 210 ფალავანი იბრძოდა პირადი და გუნდური პირველობისათვის. კონკურენციას ისიც ზრდიდა, რომ მონაწილეთაგან ბევრი იყო ტიტულოვანი სპორტსმენი.

● *თუ მოელოდნენ, რომ ჩვენი ნაკრები ასეთი ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდა?*

— ბოლო წლებში საშუალო, დონის გუნდად გვიცნობდნენ, მაგრამ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში ელდარ კურტანიძისა და დავით პოღოსიანის გამარჯვების შემდეგ, ჩვენი აქციები კვლავ აიწია, იუნიორთა ჩემპიონატში კი ისე კარგად დაიწყეს ასპარეზობა ქართველმა ფალავნებმა, ზედიზედ 12 შეხვედრაში გაიმარჯვეს, მათ შორის თურქებთან და რუსებთან. ეს უკვე საკმარისი იყო, რომ სერიოზულ მეტოქედ მივეჩნიეთ. იგივე თურქებთან მთელი შეჯიბრების განმავლობაში 6 შეხვედრიდან 4-ში გავიმარჯვეთ, რუსეთის ნაკრებთან კი 4 შეხვედრიდან 2 მოვიგეთ და 2 წავაგეთ.

● *რუსეთის ნაკრები ჩვენგან მოელოდა ასეთი წინააღმდეგობას?*

— ალბათ არ მოელოდა. რუსეთს ძლიერი გუნდი ჰყავს ტრადიციულად, ამჯერადაც ასე იყო და გუნდური პირველობაც მათ დარჩათ. ბარემ აქვე ვიტყვი, თურქები მეორე ადგილზე გავიდნენ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი უკრაინელებმა გვაჯობეს. რუსეთის ნაკრებში ყოფილი გორელი გიორგი გოგშელიძე გამოდიოდა და 90 კგ წონით კატეგორიაში ფინალი ქართული გამოდგა — ჩვენმა მიხეილ ტურაშვილმა სწორედ მასთან დათმო გადამწყვეტი ორთაბრძოლა.

● *საინტერესოა, როგორ გაიარეს გზა ფინალამდე მეორე პრიზიორებმა ტურაშვილმა, ოთარ თუშიშვილმა და ალექსანდრე მოდებაძემ?*

— დავიწყოთ წონების მიხედვით: 56 კგ-ში გორელმა თუშიშვილმა ზედიზედ დაამარცხა თურქეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას წარმომადგენლები, ფინალში გასასვლელი შეხვედრა კი რუსეთელთან მოუწია. აქ რჩებოდა 30 წამი, ოთარი იგებდა 5:1 და ამ დროს მძიმედ დაიზიანა ნეკნი. უდიდესი ნებისყოფის წყალობით მან მაინც გამარჯვებამდე მიიყვანა ეს შეხვედრა, ფინალში კი სომხეთის ფალავანთან, მართალია, ხალიჩაზე გავიდა, მაგრამ მეტოქეს ხელი ჩამოართვა, გამარჯვება მიულოცა და ისე დატოვა სარბიელი. არადა, ოთარი ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ფავორიტი იყო.

90 კგ-ში თბილისელი ტურაშვილი 3 შეხვედრის მოგების შემდეგ გავიდა ფინალში. აქ მან იუნიორებში შარშანდელ ევროპის ჩემპიონს თურქ ოზკალსაც სძლია. ფინალში კი ქულებით მარცხი მანაც ყოფილ გორელ გიორგი გოგშელიძესთან იწვნია. გოგშელიძე ახლა რუსეთის მოქალაქეა. მძიმე წონაში თბილისელმა მოდებაძემაც სამი მოგებით მიაღწია ფინალამდე, სადაც მისი მეტოქე იყო რუსეთელი ადიღეელი ადიჯევი. ჩვენებურს, მართალია, ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ საჭირო 3 ქულა ძირითად 5 წუთში, ვერც მან და ვერც მეტოქემ ვერ შეაგროვა. დამატებით სამწუთიან პერიოდში ქართველი ფალავანი იგებდა 2:1, ბოლო ნახევარ წუთში მან ჩოქბჯენშიც გადაიყვანა მოწინააღმდეგე, მსაჯმა ქულაც მისცა, რაც საკმარისი იყო გამარჯვებისთვის, მაგრამ ხალიჩის ხელმძღვანელმა შეფასება არ ჩათვალა. ამან, ეტყობა, დამთრგუნველად იმოქმედა ჩვენს ფალავანზე და ბოლო წამებში დათმო ორთაბრძოლა.

● *ბარემ მესამე პრიზიორებზეც გვიამბეთ...*

— 60 კგ-ში გორელმა მამუკა არუთინიანმა ორი შეხვედრა ზედიზედ მოიგო, ერთი წააგო, შემდეგ სამი შერკინება ისევ მოიგო, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი დაამარცხა პოლონელი მოჭიდავე. აღსანიშნავია, რომ მამუკასთვის ეს იყო დებიუტი საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება თბილისელ თამაზ გეგეშიძეს (83 კგ), იგი გამოცდილი ფალავანია, მაგრამ ბოლო ნახევარი წელიწადი ტრავმირებული იყო და სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა. თამაზმა პირველ წრეში მოუგო იტალიელს, მეორე წრეში წააგო თურქ ოზგუნ ოსმანთან, შემდეგ ზედიზედ დაამარცხა პოლონეთის, უნგრეთის და მოლდოვას მოჭიდავეები. და, აი, მესამე ადგილისთვის ისევ იმ თურქ მოჭიდავესთან მოუხდა პირისპირ დადგომა, რომელთანაც მანამდე დამარცხდა და რევანშიც აიღო. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენმა მოჭიდავემ მეორე თანრიგის დონეზე დაიწყო ასპარეზობა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის დონეზე დაამთავრა. რაც შეეხება ჩვენს მეექვსე მონაწილეს ამბროლაურელ თენგიზ ბაკურაძეს, მანაც წარმატებით დაიწყო ასპარეზობა, ზედიზედ გაიმარჯვა ორ შეხვედრაში, შემდეგ დამარცხდა ქულებით, ისევ სამი გამარჯვება ზედიზედ. III ადგილისთვის უნდა შეხვედროდა ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს, მაგრამ უკრაინელებმა, რომელთანაც ჩვენებურმა მე-6 წრეში ქულებით გაიმარჯვა, მაკედონიელთა ზეწოლით, პროტესტი შეიტანეს და დამარცხება ჩაუთვალეს, რამაც იგი VI ადგილზე დატოვა. ყველაფერი ეს, გათვლები საჭირო გახდა იმისთვის, რომ მასპინძელი ქვეყნის თუნდაც ერთ წარმომადგენელს მედალი მიეღო.

● *წარმატებები თავისთავად არ მოდის, რამდენიმე სიტყვა მწვრთნელებზეც გვითხარით...*

— გუნდი მოამზადეს უფროსმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა, ბიჭიკო პაპაშვილმა და ჯონი ლორიამ. ეს ტრიო შეხმატკბილებულად მუშაობს, რაც, იმედია მომავალში გაცილებით მაღალ შედეგებამდე მიგვიყვანს. თვეზე ცოტა მეტი რჩება იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატამდე, ვფიქრობთ ევროპის ჩემპიონატის შედეგები სტიმულს მისცემს მწვრთნელებსაც და ფალავნებსაც.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა | აფხაზეთის ღია პირველობა

# ეროვნულ სახეობას დევნილობაშიც არ ივიწყებენ

თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის დარბაზში დამთავრდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭაბუკთა შორის ქართულ ჭიდაობაში, აფხაზეთიდან დევნილი 6 რაიონის (სოხუმი, სოხუმის რ-ნი, გულრიფში, ოჩამჩირე, გაგრა, გალი) 53 სპორტსმენის მონაწილეობით. აი, რას ამბობს აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ამავე შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვიტალი ბენდელიანი:

— სამი წლის წინ, ენთუზიაზისტმა მწვრთნელებმა სპორტის ოსტატებმა ომარ გახარიამ და ვარდენ ბენდელიანმა აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ამირან ზუხბაიას გაანდეს გულისნადები — თემქის დასახლების XI მიკრორაიონში ჩამოეყალიბებინათ ქართული ჭიდაობის სექციები. კეთილი ხალხიც გამოჩნდა. ფინანსებისა და კრედიტების აკადემიის ხელმძღვანელობამ სპორტული დარბაზი უფასოდ დაგვითმო. თბილისის სპორტის სასახლის დირექციამ საჭიდაო ხალიჩა გადმოგვცა, საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ კი საჭიდაო ჩოხებით და მეთოდური ლიტერატურით მოგვამარაგა და მუშაობაც გაიშალა. შედეგმაც არ დააყოვნა — შარშან საგარეჯოში გამართულ საქართველოს პირველობაზე სოხუმელმა ნიკა კვაშილავამ III საპრიზო ადგილი დაიკავა.

გაგაცნობთ აფხაზეთის ღია პირველობის გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: გია გოგოხია (ოჩამჩირის რ-ნი), ზურაბ კაკავა (სოხუმი), ზაზა გვარამია (გულრიფში), ნიკა კვაშილავა (სოხუმი), ბესიკ კეკელია, გალაქტიონ გოცირიძე, დავით გახარია, დათო ნადარეიშვილი (ყველა — სოხუმის რ-ნი). მამუკა გიგავა (ოჩამჩირე), კახა არქანია (სოხუმის რ-ნი) და ომარ ჯიქია (სოხუმი).

იური იმერლიშვილი

# კარატე-დოს მიმდევრები

ვერის ბაღში, კალათბურთის სასახლეში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ახალგაზრდებში კარატე-დოში. მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საუკეთესო სპორტსმენები. როგორც ფედერაციის თავმჯდომარემ კახა ბასილიამ განაცხადა, ტურნირის მთავარი მიზანი იყო მსოფლიო ფედერაციის მიერ მიღებული ახალი წესების დანერგვა და საზაფხულო შეკრების წინ ეროვნული ნაკრების შესაძლებლობების დათვალიერება.

კვარცხლბეკი

*კუმიტე. 10 წლისანები:* 1. გურამ ფარსადანიშვილი (შოტოკანი), 2. დავით ტყებუჩავა (შიტო-რიუ, ორივე — თბილისი), 3. კონდრატე გვაძაბია (ფოთი) და ბექა დათუაძე (ქუთაისი, ორივე — შოტოკანი). *11 წლისანები:* 1. შალვა შერმაზანაშვილი (შოტოკანი), 2. ოთარ სულავა (გოჯუ-კაი, ორივე — თბ.), 3. ირაკლი ნანეიშვილი (შოტოკანი, ფოთი) და თორნიკე ჩაჩანიძე (შიტო-რიუ, თბ.). *12 წლისანები:* 1. ლევან ბოკვერია (შოტოკანი, ფოთი), 2. დავით მაჭავარიანი (ვადო-რიუ, თბილისი), 3. დავით რევაზიშვილი (შოტოკანი, ბათუმი) და არტურ არუთინიანი (შოტოკანი, გორი). *13 წლისანები:* 1. დავით აბრამიშვილი (შოტოკანი), 2. ვახტანგ ქარუმიძე (შიტო-რიუ), 3. ჯუმბერ ჯოჯუა (შოტოკანი) და ვანო გოგელია (შოტოკანი, ყველა — თბილისი). *14 წლისანები:* 1. გიორგი გორდაძე (შოტოკანი, ქუთაისი). 2. შალვა ჯაოშვილი (შოტოკანი, გორი), 3. შალვა იაშაღაშვილი და გიგა ქათამაძე (ორივე — შოტოკანი, ორივე — თბილისი). *15 წლისანები:* 1. გიორგი გოლოშვილი (შოტოკანი, გორი), 2. გიორგი კარაპეტოვი, 3. ავთანდილ ქურციკიძე (ორივე — გოჯუ-კაი), და ანარი პირიევი (შოტოკანი, სამივე — თბილისი). *16 წლისანები:* 1. დავით წულუკიძე, 2. ირაკლი ძაგნიძე (ორივე — ქუთაისი), 3. მიხეილ ნადარეიშვილი (სამივე — შოტოკანი, ბათუმი). *17 წლისანები:* 1. აჩიკო მაყიშვილი (გორი), 2. გიორგი ტატუაშვილი (თბილისი), 3. ნიკა შარაშენიძე (ქუთაისი) და აბო ჩარხოშვილი (თბილისი, ორთხივე — შოტოკანი).

*კუმიტე (გოგონები)*

*10-13 წლისანები:* 1. კარინა კაზაზბაშიანი, 2. ნინო ჯოჯუა, 3. თეა ჩხიტუნიძე (სამივე — შოტოკანი, სამივე — თბილისი). *16 წლისანები:* 1. ანჟელა კისკეიძე (ქუთაისი), 2. დალი მახნიაშვილი (ორივე — შოტოკანი, ორივე — თბილისი).

*კატა (გოგონები):* 1. კისკეიძე, 2. კაზაზბაშიანი, 3. ჯოჯუა 4. ჩხიტუნიძე.

*კატა (ჭაბუკები):* 14 წლამდე: 1. იუზა შენგელია (შოტოკანი, ქუთაისი), 2. ბექა არახამია, 3. დავით მჭედლიშვილი (ორივე — შიტო-რიუ, ორივე — თბილისი), 4. დავით ჭელიძე (შოტოკანი, ქუთაისი). *17 წლამდე:* 1. გიორგი ნიკოლაძე (გოჯუ-კაი, თბილისი), 2. გიორგი გოლოშვილი (შოტოკანი, გორი), 3. გიორგი კუპატაძე (გოჯუ-კაი, თბილისი).

ნ. თუშიშვილი


კარატე-დოს რჩეულთა ამქარი

# ქობულეთში ჭადრაკის ბუმია

ამ დღეებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლამ და ქობულეთის რაიონის ჭადრაკის ფედერაციამ ჩაატარეს საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-98" და III ტრადიციული საერთაშორისო მარათონული ბლიც-ტურნირი „ქობულეთი-55".

**საჭადრაკო ფესტივალი «ქობულეთი-98»**

**„ა" ტურნირი, *15 წლის ჭაბუკები:*** 1. მიხეილ გოგუაძე (ბათუმი) — 8,5 ქულა, 2. ნათია ვაჩეიშვილი (ბათუმი) — 7; 3. მიხეილ გოგუაძე (ბათუმი) — 6.

**„ბ" ტურნირი, *13 წლის ჭაბუკები:*** 1. არკადი მელქონიანი (ბათუმი) — 8,5, 2. გიორგი შურღულაია (სენაკი) — 8 (უკეთესი კოეფიციენტი). 3. ლევან კილასონია (სენაკი) — 8.

**„გ" ტურნირი, *10 წლის ჭაბუკები:*** 1. მინდია ჩხიკვიშვილი (ოზურგეთი) — 7,5. 2. ბესიკ კაკალაძე (ქობულეთი) — 7, 3. ვახტანგ ვაშაკიძე (სამტრედია) — 6.

**„დ" ტურნირი, *8 წლის ჭაბუკები:*** 1. უჩა დუაძე (ბათუმი) — 10,5, 2. გიორგი მგალობლიშვილი (ქობულეთი) 10,3. ზვიად ნიგალიძე (ბათუმი) 9,5.

***8 წლის გოგონები:*** 1. რაისა მოწყობილი (ქობულეთი) — 4; 2. ნათია ჟიჟიაძე (ბათუმი) — 3 (უკეთესი კოეფიციენტით); 3. ნანა ჩხირობე (ფოთი) — 3; 4. ნაზი მახათაძე (ბათუმი) — 3.

**საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი «ქობულეთი-98»**

**„ა" ტურნირი *(ვაჟები):*** 1. მიხეილ გოგუაძე (ბათუმი) — 9. 2. შავლეგო შამუგია (გალი) — 8 (უკეთესი კოეფიციენტით). 3. ხაჩატურ მესროფიანი — 8 (სომხეთი).

**„ბ" ტურნირი, *10 წლის ჭაბუკები:*** 1. არჩილ მუავანაძე — 5,5. 2. გიორგი მგალობლიშვილი — 5,5 (უკეთესი კოეფიციენტით). 3. ბესიკ კაკალაძე (სამივე — ქობულეთი) — 5,5.

**III ტრადიციული საერთაშორისო მარათონული ბლიც-ტურნირი „ქობულეთი - 55:**

1. გოჩა ტყებუჩავა (სენაკი) — 55, 2. ამირან ბერძენიშვილი (ქობულეთი) — 51, 3. ხაჩატურ მესროფიანი — 41,5.

გამარჯვებულ მოჭადრაკეებს გადაეცათ სიგელები და ფულადი პრიზები. ტურნირების მსვლელობისას ჩატარდა ბლიც-ტურნირები. ქობულეთში გრძელდება საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები. ცნობილი მოჭადრაკეები ჩაატარებენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

იოსებ მუავანაძე,
ქობულეთის რაიონის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე
ამირან ბერძენიშვილი,
„ლელოს" კორ., ქობულეთი

# მერაბ ჟორდანია – ბევრისთვის აგრე ნანატრი კანდიდატი

*(პირველი გვერდიდან)*

სი ხელოვნურად გახანგრძლივება უტოპიაა. წინა ეპოქის თანამონაწილეთა შეპირებულ რევოლუციას შეიძლება კაცმა დაუჯეროს, მაგრამ განა ის უფრო გამოადგება იმ ქართულ ფეხბურთს, ვიდრე ახალგაზრდობა? მერაბ ჟორდანიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ეს ნახევრადგამომცხვარი კადრია, ანგარებისა თუ ინსტინქტების გამო ლამობს სფფ-ს პრეზიდენტობას (ყოველ შემთხვევაში, ამას საჯაროდ და პირდაპირ ვერავინ ამბობს). ასეა თუ ისე, მერაბ ჟორდანია დღევანდელი სფფ-ს ყველაზე ძლიერი ოპონენტია და ამიტომაც პრესკონფერენციას ჟურნალისტთა მთელი არმიის გარდა, ბევრი სპეციალისტი და გულშემატკივარიც დაესწრო.

ბატონ მერაბს შედგენილი აქვს 300-გვერდიანი წინასაარჩევნო პროგრამა, რომლის ძირითად ასპექტებზე მოკლედ მოგვახსენა, თუმცა მანამდე თავისი გადაწყვეტილების მიზეზს შეეხო.

– საფეხბურთო სამყაროსგან, ჩემს გარშემო მყოფ პიროვნებებისგან, ბიზნესმენებისგან, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისგან, თქვენგან (იგულისხმება ჟურნალისტები), დიდი მხარდაჭერაა ჩემს მიმართ. მეც ასეთ ძლიერ ზეწოლას ვერ გავუძელი და მივიღე ეს გადაწყვეტილება. დიდი გავლენა იქონია იმანაც, რომ სფფ-ს პრეზიდენტობა იმდენად საპასუხისმგებლო რამაა, არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს, მთლიანად ქვეყნის წინაშე, რომ აუცილებელია არსებობდეს სერიოზული გარანტიები და პერსპექტივები. ამიტომაც ველოდებოდი მთელი რიგი საკითხების გარკვევას.

– მოგეხსენებათ, მთავარი წყარო ჩვენთვის ტელეტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავალია. თავის დროზე საქართველოს ეროვნულ გუნდს ისეთი მეტოქეები ჰყავდა, რომ დიდი თანხების მოპოვების საშუალება გვქონდა. ახლა კი ამ მხრივ სხვა სიტუაციაა და ეს ფული ქართული ფეხბურთის აღორძინებისათვის საკმარისი არ გახლავთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოსავალი არ არსებობს. ქართული ფეხბურთის ფენომენი საშუალებას გვაძლევს უცხოური ინვესტიციები მოვიზიდოთ. აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა – შეღავათებს აღარ ვითხოვთ, ოღონდ ფეხბურთიდან მიღებული ფული ისევ ფეხბურთს მოხმარდეს.

– მთავარი მაინც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაა. შეიქმნება ბავშვთა ლიგა, მთავარ ლიგას გაუტოლდება. საფეხბურთო სკოლებს, თუ მის აღზრდილს კლუბები აიყვანენ, აუცილებლად უნდა გადაუხადონ თანხა, რითაც ბავშვთა სკოლები გაძლიერდება.

– აუცილებლად შეიქმნება პროფესიული ლიგა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ჩაატარებს. მასში მხოლოდ სტრუქტურულად დახვეწილი და ფინანსურად ძლიერი გუნდები გაერთიანდებიან.

– სფფ-ში აუცილებელია იყოს 15-20 ძლიერი კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელები აღმასკომის წევრები იქნებიან. ისე, უნდა გითხრათ, რომ სფფ-ს დღევანდელ აღმასკომში ბევრი ისეთი პიროვნებაა, რომლის გამოცდილება კვლავაც გამოადგება ქართულ ფეხბურთს.

– ევროტურნირებზე მოასპარეზე ჩვენს კლუბებს უკვე გაფორმებული აქვთ კონტრაქტები სატელევიზიო გადაცემებთან დაკავშირებით. თუ ამ კონტრაქტების ცენტრალიზება მოხდება, მაშინ ის უცხოური ფირმები ყაბულს არიან ხელახლა გააფორმონ ხელშეკრულებები, რაც უფრო სარფიანი იქნება ჩვენი კლუბებისთვის.

აუცილებელია მოწესრიგდეს ურთიერთობა ნაკრების ფეხბურთელებთან. მათთან გაფორმდება კონტრაქტები, პრემირება კი მხოლოდ საბოლოო წარმატების შემთხვევაში მოხდება.

– ვეტერანებთან ურთიერთობაც მისახედია. ამ ხალხის დამსახურებაა დღეს თუ რამეს წარმოვადგენთ საფეხბურთო სამყაროში. ვეტერანების ჩრდილში მოქცევა არასწორად მიმაჩნია. ამაში მხოლოდ სფფ არაა დამნაშავე, ვეტერანებმაც ვერ გამოიჩინეს ფხა. გამართლებულად მიმაჩნია დელეგატებად მათი მივლინება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე: ამ ხალხისგან ყოველთვის სიმართლეს გავიგებთ, რადგან მათგან ღალატი, ვფიქრობ, გამორიცხულია.

– მოვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებს მწვრთნელთა სემინარების ჩასატარებლად

– თუ უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს სერიოზულ პროგრამას წარვუდგენთ, მისგან კიდევ უფრო მეტ თანხებს მივიღებთ.

აი, ამგვარად წარმოგვიდგინა მერაბ ჟორდანიამ თავისი პროგრამის „ჩონჩხი“. რის შემდეგაც ჟურნალისტთა შეკითხვებსაც უპასუხა.

– ყრილობის დელეგატთა სია ჯერ არ არსებობს. სფფ-ს აღმასკომის მორიგი სხდომა 15 ივნისს იყო დანიშნული. სწორედ მაშინ დელეგატთა სია უნდა გვქონოდა ხელთ. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ჯერაც არ მომხდარა. ამიტომაც არც ერთ დელეგატს არ შევხვედრივარ, როცა მათ შევხვდები, ჩემს სამოქმედო გეგმას გავაცნობ, დავარწმუნებ, რომ ეს ნაბიჯი ქართულ ფეხბურთს გამოადგება. ისე კი, არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ და გამოგიტყდებით, გამოუცდელი ვარ.

– პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მიმართ მსურს პატივისცემა გამოვხატო. რამაზ გოგლიძესთან ოჯახებით ვმეგობრობ, ილია დათუნაშვილი კი მამაჩემის მეგობარია და მის ხელში ვარ გაზრდილი. ალექსანდრე ჩივაძეს ახლო მეგობრად ვთვლი. ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში მინდა, რომ საშა გვერდში ამომიდგეს. თუ არჩევნებში დავმარცხდი, ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტობის და რაიმე სხვა პოსტის შემოთავაზებას არ დავთანხმდები, ასეთ შემთხვევაში ქართულ ფეხბურთს სარგებლობას ვერ მოვუტან.

– რაც შეეხება „დინამო“ – „მრეტების“ კონფლიქტს, თუ თანხა (875 000 აშშ დოლარი) შეგვინარჩუნდება, ეს ხომ ქართულ ფეხბურთს მოხმარდება. ახლანდელი ვითარება დამაიმედებელია და უფლებას გვაძლევს გავაგრძელოთ ბრძოლა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ დავა წავაგოთ.

– კლუბების ფინანსურად მოღონიერებით მათი მიგრაცია შემცირდება. აუცილებლად მივიღებთ გადაწყვეტილებას ფეხბურთელთა მიგრაციის ლიმიტირების შესახებ ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში. პირველ ჯგუფში გუნდების რაოდენობის შემცირება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. 16-18 გუნდი ერთის მხრივ საუკეთესო ვარიანტი კია, მაგრამ ამისთვის ჯერ მზად არა ვართ.

– მსაჯების ანაზღაურების ფორმა შესაცვლელია. მსაჯთა დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბება, ვფიქრობ, მომავლის საქმეა, რადგან დღეს საამისო სიტუაცია არ არის.

– ღრმად მწამს, რომ საქართველოს X ეროვნულ ჩემპიონატს სერიოზული სპონსორი ეყოლება.

– ჩემი გაპრეზიდენტობის შემთხვევაში სფფ ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი ორგანიზაცია იქნება.

**დათო თავართქილაძე**

# ყიფიანის „შინიკი“ წინ მიიწევს. იზრდება ქართველი მწვრთნელის ავტორიტეტიც

სულ თვენახევარია, რაც რუსეთის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზე მოჩანჩალე იაროსლავლის „შინიკი“ დავით ყიფიანმა ჩაიბარა. დემორალიზებული, წაგებასმიჩვეული გუნდის შემობრუნება ადვილი საქმე არაა, მაგრამ ქართველი სპეციალისტის მისვლის შემდეგ „შინიკს“ „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა და ქულათა მარაგმაც საგრძნობლად იმატა. უიმედო აუტსაიდერი დღეს უკვე სატურნირო ცხრილის შუაგულშია (ბოლო, XV ტურში „შინიკმა“ მოსკოვის ცსკა დაამარცხა 1-0 მის მინდორზე). გუნდი შემტევ, კომბინაციურ თამაშს აძლევს უპირატესობას და, ცხადია, მაყურებელსაც სტადიონისკენ მიუბრუნდა გული. სამხარეო ადმინისტრაცია, ქალაქ იაროსლავლის ხელმძღვანელობა აშკარად კმაყოფილია ქართველი მწვრთნელის საქმიანობით.

# ნაკრებში ძოძუაშვილმა პირველი პრიზი მიითვალა

ევრო – 2000-ზე მეორე შესარჩევ ჯგუფში მონაწილე ლატვიის ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა, რომელსაც სათავეში ქართველი სპეციალისტი რევაზ ძოძუაშვილი უდგას, ბალტიის თასი მოიპოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლატვიელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს ესტონელები 2-0.



# ძმები არველაძეების სახელობისა

კორპორაცია „ცეზარმა“, საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით, კიდევ ერთ ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს ჩაუყარა საფუძველი – თბილისში, ეროვნული სტადიონის კონფერენც-დარბაზში გახსნა ძმები არველაძეების კლუბი, რომლის პრეზენტაცია ამ შემოდგომითაა გათვალისწინებული. კლუბის პრეზიდენტია ინჟინერ-მშენებელი ალეკო კაკულია, ვიცე-პრეზიდენტი – არჩილ ქობალავა. ორივე ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებაა. მოკლე ხანში მათი გარჯითა და ხელმძღვანელობით კეთილმოეწყო კლუბის დარბაზი. ასე რომ, აქ უკვე შესაძლებელია ჩატარდეს შეხვედრები უცხოელ ფეხბურთის ვარსკვლავებთან, ცნობილ ვეტერანებთან, დაჯილდოვდნენ ეროვნულ ჩემპიონატში თავგამოჩენილი გუნდები, ფეხბურთელები. მოკლედ, გეგმები „კიჭების“ სახელობის კლუბს დიდი აქვს და ამის თაობაზე ინფორმაციაც მოგვაწოდეს სპორტულ ჟურნალისტებს. ითქვა ისიც, რომ ახალდაარსებული კლუბი სამ ენაზე დასტამბავს ჟურნალ „ქართველებს“, რომელიც საზღვარგარეთ გავრცელდება. ინგლისურენოვანი გამოცემა მთლიანად ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებს დაეთმობა.

*სურათზე: ძმები არველაძეების სახელობის კლუბის თავკაცები ალეკო კაკულია (მარჯვნივ) და არჩილ ქობალავა.*

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.*

# პრემია – ილია ბაბუნაშვილს, პრიზი – ჯემალ ჭიპაშვილს!

2 ივლისს, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღეს, სპორტულ თემაზე მომუშავე საქართველოს ჟურნალისტებმა თავისებურად – ერთად თავმოყრილებმა, მიღწეულისა და მომავლის ამოცანებზე მსჯელობით აღნიშნეს. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ყველაფერი დაწვრილებით გააანალიზა და პრობლემებზე გულღია მსჯელობის ფონიც შეუქმნა კოლეგებს. ითქვა, რომ ყოველწლიურად ასეთი კონფერენცია სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ტრადიციად დამკვიდრდება.

ამავე კონფერენციაზე ასოციაციის მიერ დაწესებული ცნობილი ჟურნალისტის ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია ე. ბერიშვილმა გადასცა სარბიელელ ილია ბაბუნაშვილს 1997 წელს გამოქვეყნებული რეპორტაჟებისთვის. პრიზით აღინიშნა ლელოელ ჯემალ ჭიპაშვილის ნამუშევრები.

**სააგენტო „გუმათი“.**

# ლოთარ მათეუსი რეკორდების შარავანდედით

**37 წლის ლოთარ მათეუსის ასეთ ტრიუმფს თითქოს შემთხვევითობის ელფერი დაჰკრავს. მართლაცდა, წლის დასაწყისისათვის სად იყო იმის გარანტია, რომ ვეტერანი ნაკრებს დაუბრუნდებოდა. ახლა კი ერთი რეკორდი მეორეს მოსდევს. მსოფლიო ჩემპიონატში მეხუთედ მონაწილეობა, რაც სახელოვანი ანტონიო კარბახალის მიღწევის განმეორებაა, მექსიკელებთან შეხვედრა მისთვის 24-ე იყო მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში. ამით მათეუსმა გაუსწრო უვე ზეელერს, მარადონასა და ჟმუდას, რომელთაც ამ დონეზე 21-21 მატჩი აქვთ ჩატარებული.**

● *ლოთარ, არის აზრი, ზამერის დაშვება რომ არა, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატში ვერ ითამაშებდით.*

– ეტყობა, ეს ასეა. მათიას ზამერი მწყობრიდან რომ გამოვიდა, ბერტი ფოგტსი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ოლაფ ტონმა კი მცირე ტრავმა მიიღო. საწყენია, რომ ჩემს იღბალს ჩემი მეგობრების უიღბლობას უნდა ვუმადლოდე. მაგრამ, დაცვაში შექმნილი მთელი პრობლემების მიუხედავად, ბერტი არ მიმიწვევდა, რაღაცას რომ არ წარმოვადგენდე. არ დაგავიწყდეთ, წარმატებით ჩავატარე უკანასკნელი სეზონი „ბაიერნში“.

● *თქვენ ბუნდესლიგის საუკეთესო მოთამაშედაც მიგიჩნიეს*

– მხოლოდ ეს როდია მნიშვნელოვანი. თვით ვგრძნობდი, ისე ვთამაშობ, როგორც ადრე, ყველაზე უკეთეს წლებში. ბოლო სამ მატჩში გოლიც კი გავიტანე.

● *ამ ჩემპიონატში ყველა რეკორდის მოხსნით, გარდა ერთისა. კარბახალის პირველ და უკანასკნელ მატჩებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალებში 16 წელი და 17 დღე გავიდა. ახლა, გერმანიის ნაკრებმა ფინალურ მატჩში თამაშის უფლებაც რომ მოიპოვოს, თქვენი „სტაჟი“ იქნება 16 წელი და 14 დღე.*

– ეს კი უკვე როგორც უმაღლესი მათემატიკის სფეროდანაა, არა? არ ვიცი, ვის სჭირდება ასეთი ზუსტი გამოთვლები, მე, ყოველ შემთხვევაში, არა. იმიტომ მივისწრაფოდი, რაც შეიძლება მეტხანს მეთამაშა, რომ ნამდვილად ბედნიერად თავს სწორედ თამაშში ვგრძნობ. რაც შეეხება რეკორდებს, ის ნაკლებად მაღელვებს.

● *თქვენ კარიერა დაიწყეთ, როგორც თავდამსხმელმა, შემდეგ დაცვაში თამაშობდით, ამ ჩემპიონატში კი საყრდენი ნახევარმცველის როლში გამოდიხართ, ყველა ამ პოზიციაზე თანაბარი წარმატებით გამოდიხართ. სად უფრო მოგწონთ თამაში?*

– ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ კი მინდორზე ვიყო. თუმცა ეს ყოველთვის ასე არა ყოფილა. თავდასხმაში თამაშზე ჩემი სურვილით კი არ ამიღია ხელი. თავი იჩინა ასაკმა, ტრავმებიც მიშლიდა ხელს სრული ძალით მეთამაშა. მაშინ ასეთი არჩევანი მქონდა: ან საერთოდ დამენებებინა თავი ფეხბურთისათვის, ანდა, ჩემი კარის სიახლოვეს გადავსულიყავი, ბევრი რომ არ მერბინა.

● *როგორ აფასებთ გერმანიის ნაკრების შესაძლებლობებს მსოფლიო ჩემპიონატში?*

– როგორც ყოველთვის, მაღალ შეფასებას ვაძლევ. ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები ვართ.

● *იმის მიუხედავად, რომ ჯგუფურ ტურნირში გერმანელებმა არ აჩვენეს ის თამაში რომელიც თუნდაც ევროპის ჩემპიონს შეეფერებოდა?*

– როცა აუტსაიდერებთან სრული ძალით არ თამაშობ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ძლიერი არა ხარ.



● *პირველად მაშინ გახვედით მინდორზე, როცა გერმანიის ნაკრები, როგორც ეტყობოდა, მორალურად გატყდა, პირველი ტაიმის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრებთან.*

– ჩვენი ნაკრების მორალურად გატეხა ძალიან ძნელია. უბრალოდ, შემთხვევითობისაგან არავინ არის დაზღვეული, ჩვენს კარში კი სწორედ რომ შემთხვევითი გოლები გავიდა. მართალია არც იუგოსლაველების ავტოგოლი იყო მაინცდამაინც კანონზომიერი. რაც შეეხბა ირანელებთან მატჩს, აქ ბერტიმ თავიდანვე გამომიყვანა მინდორზე, იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ამერიკელებს მოუგო, ჩვენ, ცოტა არ იყოს, ავღელდით. შეიქმნა საფრთხე, რომ ირანი ისეთივე სიურპრიზს შემოგვთავაზებს, როგორიც ალჟირის ნაკრებმა 16 წლის წინათ ესპანეთში. მაშინ სრულიად მოულოდნელად დავმარცხდით – 1-2.

● *რაშია ოლივერ ბირჰოფის პრობლემა? რატომაა, რომ ევროპის ჩემპიონატის №1 სნაიპერი ვერ აცხადებს პრეტენზიას მსოფლიო ჩემპიონატის ასეთივე წოდებაზე?*

– დარწმუნებლი ვარ, რომ ოლივერს არავითარი პრობლემა არა აქვს. უბრალოდ, სხვებზე მეტი გოლის გატანა მისთვის თვითმიზანი არ არის. მე პირადი გამოცდილებით ვიცი, როგორი ოსტატობა უნდა გქონდეს, რომ იტალიის პირველობაზე ამდენი გოლი გაიტანო. ეს ოსტატობა ისე ერთბაშად კი არ იკარგება, ბირჰოფი კიდევ ძალიან გამოადგება ჩვენს ნაკრებს.

● *თქვენი ურთიერთობა კლინსმანთან უკვე მრავალი წელია ყველას სალაპარაკო გახდა.*

– სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ ყველა ჩვენი პრობლემა მოვაგვარეთ. მეც და იურგენიც პროფესიონალები ვართ. რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის, ეს თამაშზე არ იმოქმედებს. კიდევ რა გითხრათ? მინდა ყველამ გაიგოს, რომ მეც და ჩემი ამხანაგებიც უაღრესად აღშფოთებული ვართ გერმანელი ხულიგნების საქციელით, რომლებმაც პოლიციელს სცემეს. ჩვენ ყოველდღიურად ვიგებთ, როგორია მისი ჯანმრთელობა, სამწუხაროდ, კვლავ კომაშია. თუკი ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, დეე იცოდნენ, გერმანიის მთელ ნაკრებს რცხვენია, რომ ეს ადამიანებიც ჩვენსავით გერმანელები არიან.

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

## დუნგა ნაკრებიდან მიდის

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა დუნგამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს გუნდს. „ძალიან არ მინდა ეს, მაგრამ დროა გზა მივცე ახალგაზრდებს. საყვარელი გუნდის შემადგენლობაში მაქსიმუმ სამი მატჩი მაქვს სათამაშო, ამიტომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა დიდი სპორტიდან ორგზის მსოფლიო ჩემპიონად წავიდე“ – განაცხადა ვეტერანმა.

## ინტერნეტი: 24 საათში – 68 მილიონი ადამიანი!

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი დაინტერესება ჰპოვა მთელ პლანეტაზე. საკმარისია ითქვას, რომ სხვადასხვა ცნობებისა და მასალების მისაღებად მარტო ინტერნეტის სისტემას ყოველ 24 საათში 68 მილიონი ადამიანი მიმართავს.

## რუმინეთის ფეხბურთს კრიზისს უწინასწარმეტყველებენ

ხორვატებთან წაგებული მერვედფინალური მატჩის მეორე დღესვე რუმინეთის ნაკრები ბუქარესტს გაფრინდა, მაგრამ სანამ გზას დაადგებოდა, ფეხბურთელებმა სადალაქოებს მიაშურეს და ერთი ფერით შეღებილი თმა საწყის მდგომარეობაში მოიყვანეს. სამშობლოში ჩაფრენისთანავე ნაკრების მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ, ფეხბურთელებმა გეორგე ჰაჯიმ, მარიუშ ლეკეტუშმა, ილიე დუმიტრესკუმ, ბოგდან სტელიამ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ სამუდამოდ დატოვებენ გუნდს.


რ. ბაჯო

## ვინ გახდება ბომბარდირი?

ჯერჯერობით ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორთა სიას სათავეში ორნი უდგანან – იტალიელმა კრისტიან ვიერიმ და არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ მეოთხედფინალამდე 5-5-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი. ჩილელმა მარსელო სალასმა და მექსიკელმა ლუის ერნანდესმა 4-4 ბურთი გაიტანეს. მეგოლეთა სიაში ვხედავთ აგრეთვე ფრანგ ტიერი ანრის, ბრაზილიელებს სეზარ სამპაიოს და რონალდოს, გერმანელებს იურგენ კლინსმანს და ოლივერ ბირჰოფს, ხორვატ დავორ შუკერს, რომელთაც სამსამჯერ იზეიმეს წარმატება.

## მადლიერი ტიფოზები ვიერის ძეგლს დაუდგამენ

ამასაც მოვესწარით – იტალიურმა გაზეთმა „ლა სტამპამ“, შეისმინა რა მადლიერი ტიფოზების გულის წადილი, „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელის კრისტიან ვიერის მონდიალზე უბადლო თამაშის (მან ოთხ მატჩში უკვე 5 გოლი გაიტანა!) აღსანიშნავად ფეხბურთელისთვის ძეგლის პროექტის კონკურსი გამოაცხადა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც იტალიელ, ისე უცხოელ სკულპტორებს.

## ექს-კიკინიანს ვესტერნები მოსწონს

„სკუადრა აძურას“ ოდესღაც კიკინიანი ვარსკვლავი რობერტო ბაჯო მსოფლიო ჩემპიონატზე ძლიერ დაკავებული ყოფილა – აქ-მატჩებიო, იქ – ვარჯიშიო, იქ – ვიდეო მაგნიტოფონიო. დიახ, სწორედ მთელ თავისუფალ დროს იტალიელი ფორვარდი ვიდეომაგნიტოფონს უზის. თურმე ნუ იტყვით, იგი მზადაა დღედაღამ კლინტ ისტვუდის და სერჯო ლეონეს კლასიკურ ვესტერნებს უყუროს. „ძალიან მომწონს, როცა ამ ფილმების გმირების ბოლო ტყვია ზუსტად მიზანში ხვდება – განაცხადა ბაჯომ. – ვესტერნებიდან მიღებულ გაკვეთილს ცხოვრებაში ვატარებ“. მისი სიტყვები გასაგებია – 1994-ის მონდიალზე ბრაზილიელების წინააღმდეგ ბაჯო არ იყო, პენალტი რომ ააცილა?


დავორ შუკერი: „ღმერთო, დღეს, გადაგვარჩინე!“

## გამარჯვებულთა ფსიქოლოგია, ესაა მთავარი!

დღეს გერმანია ხორვატთა თავმოყვარე გუნდს მაინც დააჩოქებს, ისევე, როგორც ევრო-96-ზე და იცით რატომ? მოუგეს რა მექსიკელებს უიმედო მატჩი, მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რას ნიშნავს გამარჯვებულთა ფსიქოლოგია. არა, გერმანელები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც სხვები. კრისტიან ციგე იუგოსლავიელებთან გამარჯვების შემდეგ ბავშვივით ატირდა. ანდრიას კეპკემ კი, დამთავრდა თუ არა მექსიკელებთან მატჩი, 4 წლის ქალიშვილი მხრებზე შეისვა და დიდხანს დადიოდა მინდორზე. ყოვლისმნახველი ლოთარ მათეუსი მთელი ოჯახითურთ იქვე ტრიბუნაზე მოკალათდა და ბავშვივით ხარობდა. მაგრამ ყველაფერი ეს ფეხბურთის შემდეგ იყო. მანამდე, სანამ ამდენ სიხარულს მოიმკიდნენ, ბევრი ოფლი დაღვარეს.

ჯერჯერობით გერმანიას მსოფლიო ჩემპიონატზე განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია. მისი საფეხბურთო მანქანა კვლავ ძლიერია, თუმცა აქა-იქ რემონტს ნამდვილად საჭიროებს და ამას გერმანელები როგორმე მოახერხებენ. ბერტი ფოგტსის ბიჭები თამაშობენ არასტაბილურად, გარკვეული ჩავარდნებით და, ცხადია, თვითონაც ესმით ეს. მაგრამ რომელიმე ფეხბურთელი მაინც თუ გაივლებს გულში აზრს, რომ შეიძლება დამარცხდეს? არავითარ შემთხვევაში! „იქ, სადაც სხვები ტყდებიან, ჩვენ უდრეკად ვდგავართ!“ – ამბობდა 16 წლის წინათ ესპანეთის მონდიალზე ფრანგების წინააღმდეგ მატჩის შემდეგ (ეს შეხვედრა სპეციალისტებმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ შერაცხეს) კარლ-ჰაინც რუმენიგე და მისი სიტყვების გამეორება ნებისმიერ ახლანდელ ფეხბურთელს შეუძლია.

დღეს გერმანია ხორვატებს ეთამაშება.

FRANCE 98
INFORMATIONS

## აფრიკა: კამერუნელები, მაროკოელები – ზეიმობენ, ნიგერიელებს ჯავრი ახრჩობთ, ხოლო სამხრეთაფრიკელები და ტუნისელები ჯერ ვერ გარკვეულან

მას შემდეგ, რაც მსოფლიო თასის მერვედფინალში ნიგერიამ დანიასთან შეხვედრაში სასტიკი მარცხი იწვნია, მონდიალს ბოლო აფრიკული ნაკრები გამოეთიშა. რაც ყველაზე საკვირველია, სამშობლოში კრიტიკის ქარცეცხლში სწორედ „სუპერარწივები“ მოექცნენ, თუმცა სხვა შავკონტინენტელები – კამერუნელები, მაროკოელები, სამხრეთაფრიკელები და ტუნისელები ჯგუფური ტურნირიდანაც კი ვერ გავიდნენ. კამერუნელებსა და მაროკოელებს სამშობლოში ეროვნული გმირებივით შეხვდნენ. საკმარისია ითქვას, რომ კამერუნის დედაქალაქ აიაუნდას აეროპორტში ნაკრებს 7 ათასი გულშემატკივარი დახვდა, ხოლო მაროკოელთა მეფე არნახული ძღვენით დამშვენებული, თვითმფრინავის ტრაპთან ეახლა ფეხბურთელებს. რაც შეეხება სამხრეთაფრიკელებსა და ნიგერიელებს, ჯერ ვერ გარკვეულან, როგორ შეაფასონ მონდიალზე გამოსვლა.

## ქლინტონს ირანის ნაკრები მოეწონა, მსოფლიო თასს კი ბრაზილიელები დაეპატრონებიანო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ ქლინტონი ოფიციალური ვიზიტით ჩინეთში ჩავიდა, გზაში შეიტყო, რომ მისი ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ირანთან მარცხი განიცადა. შუა გზაზე, ფილიპინის დედაქალაქ მანილაში, ნახა ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი და უმწეოდ ხელები გაასავსავა: „ამ წაგებამ ბევრ ამერიკელს გული ატკინა, მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი-მეტოქემ ყოველმხრივ დაგვჯაბნა, შემართება, როგორიც ირანელებმა გამოავლინეს, შესაშური და მისაბაძია.“ ჟურნალისტებმა პრეზიდენტისგან ისიც შეიტყვეს, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ფავორიტად ბრაზილია მიაჩნია.

## ეს არაკაცობაა, სიმეონე!

იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა არგენტინა-ინგლისის მერვედფინალურ მატჩს სასტუმროში ტელევიზიით უყურეს. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ არაობიექტურ მსაჯობას. მეკარე ჯანლუკა პალიუკამ თავისი თანაკლუბელი დიეგო სიმეონე გააკრიტიკა. გახსოვთ, ალბათ, მატჩის 47-ე წუთზე დანიელმა არბიტრმა კიმ ნილსენმა მინდვრიდან ინგლისელი დევიდ ბექჰემი გააძევა – მან სიმეონეს ფეხი მაშინ წაარტყა, როდესაც მის წინააღმდეგ უხეშობის გამო თამაში გაჩერებული იყო და თავად მინდორზე იწვა. ამის შემდეგ არგენტინელი საშინელი ტკივილის ინსცენირებით მიწაზე გაიშოტა. „მამა მია, გუშინ არაობიექტური მსაჯობა იყო. კარგად ვიცნობ სიმეონეს. იგი სიმულაციის დიდოსტატია“ – თქვა პალიუკამ. მეკარეს მხარი აუბა ფაბიო კანავარომაც: „ასეთი რამ ფეხბურთელს არ ეკადრება, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც მსაჯია. ამ ეპიზოდში ორივე ფეხბურთელი გასაფრთხილებელი იყო – ბექჰემიც და სიმეონეც, მაგრამ წითელ ბარათს ინგლისელი ნამდვილად არ იმსახურებდა.“

# პელე ალტაცებული როდია

ვინ აღარ ესწრება მსოფლიოს ჩემპიონატს! ყველა გამოთქვამს მეტად თუ ნაკლებად ავტორიტეტულ თავის აზრს. შენიშვნები ზოგჯერ შინაარსიანი და დასაბუთებულია. ზოგჯერ გაუაზრებელი და ზედაპირული. ასე იყო ადრეც, ასე იქნება შემდეგშიც.

დღეს კი ვნახოთ, რას ფიქრობს მსოფლიო პირველობაზე „ფეხბურთის მეფე“ პელე, ბრაზილიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ახლა კი ტელეკომენტატორი. იგი, პირდაპირ ვთქვათ, ამ ჩემპიონატით აღტაცებული როდია.

— ერთ-ერთი მატჩის დროს ტელეკამერები წამდაუწუმ გვიჩვენებდნენ საპატიო სტუმრების ლოჟას, მონაწილე ქვეყნების ფეხბურთის მესვეურებს, რომლებსაც თამაშის დროს... ჩაეძინათ. ეს კადრები შემდეგ მსოფლიოს ყველა ტელეარხმა აჩვენა. ვფიქრობ, ეს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ილუსტრაცია გახლდათ.

● *ერთი სიტყვით, თქვენს დროს ფეხბურთი უფრო საინტერესო იყო?*

— ბევრად უფრო საინტერესო. ეტყობა, ამას თავისი ლოგიკური ახსნაც აქვს. ადრე ფეხბურთი მთლიანად ასეთი ძალისმიერი ორთაბრძოლისაგან კი არ შედგებოდა. იგი სპობს თამაშს, კლავს ყოველგვარ აზრს მინდორზე. სევდა მაწვება, როცა ყოველივე ამას ვუყურებ.

● *განა არც ერთი ნაკრები არ მოგწონთ?*

— ასე ვიტყოდი: დღეისათვის ვერ ვხედავ ვერც ერთ გუნდს, რომელიც ასეთი თამაშით მსოფლიო ჩემპიონობის ღირსი იყოს. მაგრამ იმის თქმა კი არ მინდა, რომ არავის გამოვარჩევ. მომეწონა მექსიკის ნაკრების თამაში. იგი უფრო წარსულის გუნდებს ჰგავს, ვიდრე ახლანდელს. მისი მოთამაშეები რობოტებს არა ჰგვანან, აქვთ ფანტაზია, ორიგინალური ჩანაფიქრი, მშვენიერი ტექნიკა. გამარჯვებისადმი მიდრეკილებაზე კი არც ღირს ლაპარაკი. კიდევ ერთმა გუნდმა – ნიგერიის ნაკრებმა გვიჩვენა ცოცხალი, არასტანდარტული ფეხბურთი. სამწუხაროდ, არც ერთსა და არც მეორე ნაკრებს არაფერი კარგი არ ელის – ისინი, ვინც ე.წ. თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, მათ, უბრალოდ, მოსპობენ! (პელეს სიტყვები მთლიანად გამართლდა: მექსიკელები და ნიგერიელები ხომ უკვე გამოეთიშნენ შეჯიბრებას – *რედ.*).

● *ვის შეუძლია თქვენი აზრით, თუ თამაშს არ გვიჩვენებს, შედეგს მაინც მიაღწიოს? ბრაზილიელებმა?*

— არა მგონია. თუმცა ჩემი თანამემამულეების გულშემატკივარი ვარ, მაგრამ სინანულით ვხედავ, როგორ ცოტა საგოლე მომენტებს ქმნიან ისინი. ეს მოთამაშეთა არასაკმარისი ურთიერთქმედებით უნდა ავხსნათ. ან არა გვყავს ნამდვილად მაღალი კლასის შემსრულებლები. და ეს ჩვენი გმირები „გაბერილი“ არიან, ანდა მათ, უბრალოდ, არ უნდათ თამაში. ამიტომაც ვამბობ, რომ ბრაზილია ჩემპიონი ვერ გახდება, ამას უფრო არგენტინა მიაღწევს.

● *ევროპული ფეხბურთის წარმომადგენელი რატომ არა?*

— ღირსეულ პრეტენდენტს ვერ ვხედავ. შეიძლება ითქვას, დიდი ეჭვებით, საფრანგეთის ნაკრებზე ვილაპარაკოთ, ისიც იმიტომ, რომ ჩემპიონატის მასპინძელია, შინ კი, როგორც ამბობენ, კედლებიც კი გეხმარებიან. აი იტალიელებმა კი იმედი გამიცრუეს. არ მესმის მალდინისა. რატომ არ გამოჰყავს მინდორზე ერთდროულად რ. ბაჯო და დელ პიერო, ისინი ხომ მშვენიერ წყვილს შეადგენენ. ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, მფლანგველობაა. განა ვერ ხედავს, რომ იტალიის ნაკრებში ბევრი „ჩამშლელია“, თამაშის შემქმნელი კი, თუ ამ ორს არ ჩავთვლით, არავინ? ესპანეთზე ლაპარაკიც კი არ მინდა. ჩემპიონატის წინ ვიწინასწარმეტყველე რაულის აღმაფრენა, მაგრამ მოვტყუვდი.

● *მას გარდა, ოუენიც გამოარჩიეთ.*

— არც იგი ბრწყინავს, თუმცა საკმაოდ კარგად თამაშობს. საერთოდ კი, საწყენია, რომ ამ ჩემპიონატში ჯერჯერობით ახალი სახელები არ გამოჩნდა. ისინიც, ვისგანაც კარგ თამაშს ველოდით, აქამდე არაფერს გვიჩვენებენ.

● *რონალდო? მას ხომ „ახალ პელეს“ უწოდებენ?*

— შესაძლოა, შემდეგში გახდეს კიდეც, ჯერჯერობით კი ამ დონეს ვერ მიაღწია. მისი ნეიტრალიზაცია ძალიან იოლია, არ შეუძლია მჭიდრო მეურვეობასთან ბრძოლა, და გარდა ამისა, სახეზეა „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ ყველა ნიშანი. ჯერჯერობით არ შეიძლება ნამდვილი ოსტატი ვუწოდოთ. მას ყველაფერი ეს ვუთხარი კიდეც. იგი დამეთანხმა და ეს კარგის მომასწავებელია. თუკი ბრაზილიელ მოთამაშეებზე ვილაპარაკებთ, ყველაზე ძალიან რომარიო მომწონს. ზაგალო სწორად არ მოიქცა საფრანგეთში რომ არ წამოიყვანა. აქ რომარიო ძალიან გამოადგებოდა.


პელე

● *ნაკრებების ნაწილი უკვე გამოეთიშა ბრძოლას. ვინ იყო მათგან უკეთესი ხვედრის ღირსი?*

— არავინ. შემეძლო ესპანელების დასახელება, მაგრამ მათ არ უნდა მიეყვანათ საქმე იქამდე, რომ სხვებზე ყოფილიყვნენ დამოკიდებული. პარაგვაი მაინც მათზე ნაკლებად იყო ჯგუფში გამარჯვების ღირსი. თუკი უსამართლობაზეა ლაპარაკი, ყველაზე მეტად კამერუნისა და მაროკოს ნაკრებები მეცოდება. ისინი მსაჯებმა დათრგუნეს, და, თანაც, სრულიად აშკარად. ბლატერის ადგილზე მსაჯების პრობლემას მოვკიდებდი ხელს, მას წმინდა პროფესიონალურს გავხდიდი.

● *რას გულისხმობთ?*

— არ შეიძლება მსაჯები მხოლოდ იმ პრინციპით შეარჩიო, რომ საჭიროა წარმოდგენილი იყოს ყველა რეგიონი. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სჯიან ადამიანები, რომელთა ქვეყნებში ფეხბურთი საერთოდ არ არსებობს. საიდან უნდა ჰქონდეთ მათ სათანადო კვალიფიკაცია? ვფიქრობ, საჭიროა არბიტრთა ნამდვილი პროფესიონალების გუნდის შექმნა და მათთვის კარგი გასამრჯელოს დაწესება. ეს გამორიცხავს მსაჯების მოსყიდვის შესაძლებლობას. ისინი ვერ გაბედავენ მიკერძოებით მსაჯობას, კარგად ეცოდინებათ, რა რისკზე მიდიან.

● *და გამოიყენონ ვიდეოგამეორება?*

— რა თქმა უნდა, როგორც ეს სპორტის სხვა სახეობაშია. საინტერესოა, ფეხბურთი – დედამიწაზე ყველაზე მასობრივი სპორტი, რატომ რჩება ყველაზე კონსერვატულად? ბლატერს ვურჩევდი მეტი მოესმინა ისეთი ადამიანების რჩევებისათვის, რომლებიც ფეხბურთიდან მოვიდნენ, ვთქვათ, როგორც მე და პლატინი ვართ. იგი ხომ ამ სამყაროს ისე კარგად არ იცნობს, როგორც ჩვენ.

● *რას უსურვებდით იმ გუნდებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას?*

— ისე ეთამაშოთ, რომ მაყურებლებს არ დაეძინოთ.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

მატჩი №:57. სენ დენი. „დე ფრანსე“. 80.000 მაყურებელი.

**საფრანგეთი – იტალია 0–0 პენ. 4–3**

*საფრანგეთი:* ბარტეზი, ლიზარაზუ, ბლანი, დესაი, დეშამპი, ტურამი, კარამბუ (ანრი, 66), პეტი, ჯორკაეფი, ზიდანი, გივარში (ტრეზეგე, 66).

*იტალია:* პალიუკა, ბერგომი, მალდინი, კანავარო, კოსტაკურტა, დი ბიაჯო, პესოტო (დი ლივიო, 90), დ. ბაჯო (ალბერტინი, 53), მორიერო, დელ პიერო (რ. ბაჯო, 68), ვიერი.

*გააფრთხილეს:* დელ პიერო, ბერგომი, დეშამპი, გივარში, კოსტაკურტა.

*მსაჯი:* ჰიუ დალასი (შოტლანდია).

ფრანგთა შეუპოვრობა იტალიური „კატენაჩოს“ წინააღმდეგ – შედეგად ულაზათო, ჩემპიონატის ფავორიტებისთვის მეტად შეუფერებელი მატჩი. რომელშიც ვერ ვიხილეთ დელ პიეროს და რ. ბაჯოს ის თამაში, რასაც აგრერიგად ველოდით. ვერ ვიხილეთ ის იტალია, რომელიც გამარჯვებისაკენ მთელის ვნებით ისწრაფვის, რომელიც მასირებული დაცვის გარდა, ტრადიციულად მრისხანე კონტრშეტევებითაც მოიწონებდა ხოლმე თავს. ჩეზარე მალდინის ეს გუნდი ერთ-ერთი ყველაზე უნიათო გამოდგა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში, რომელიც ნახევარფინალში გასვლას ნაღდად არ იმსახურებდა. ფრანგებმა ყველაფერი კი გაიღეს გამარჯვებისათვის, მაგრამ ქება-დიდებას, ვფიქრობთ, არც ისინი იმსახურებენ – ასეთი გუნდით მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება...

ტურნირის მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე მძლავრი იერიშები მიიტანეს აპენინელებზე. იტალიელები ფრანგთა შემოტევებს ძლივსძლივობით უმკლავდებოდნენ და პალიუკას ორჯერ რომ არ ეყოჩაღა (ჯერ ზიდანის დარტყმული მოიგერია, შემდეგ კი პეტის) პირველი გატანილი გოლის ფაქტორი ალბათ პენალტების სერიის ნახვის საშუალებას აღარ მოგვცემდა. მოედნის ცენტრში დი ბიაჯო და დ. ბაჯო თითქმის ყოველთვის „უთმობდნენ“ ინიციატივას ფრანგთა ნახევარმცველებს, ფლანგებზე კი პესოტო და მორიერო ტურამთან და ლიზარაზუსთან „იჩაგრებოდნენ“, რის გამოც ფრანგები მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სუმბურულად უტევდნენ, მხოლოდ ზიდანი თუ ალამაზებდა მათ იერიშებს. ფრანგებს აშკარად აკლიათ მაღალი კლასის ფორვარდები, თორემ სად გაგონილა, რომ მთელი 90 წუთი წნეხის ქვეშ გყავდეს მეტოქე და გოლი ვერ გაუტანო. ჯორკაეფს, კარამბუს, ანრის გაცუდებულ ხელსაყრელ მომენტებს იტალიელთაგან ვიერი და დი ბიაჯო გამოეხმაურნენ. დამატებით დროში კი ჯერ რ. ბაჯოს შეეძლო ოდნავ მახვილი კუთხიდან „ოქროს გოლით“ გაეხარებინა ტიფოზები (ბურთი ბარტეზის კარის ცხრიანს ოდნავ ააცილა), შემდეგ ჯორკაეფმა ვერ ივარგა პალიუკასთან და პენალტების სერიის ჯერიც დადგა: ზიდანი 1-0, რ. ბაჯო 1-1, ლიზარაზუ 1-1 (მეკარემ მოიგერია), ალბერტინი (მეკარემ მოიგერია), ტრეზეგე 2-1, კოსტაკურტა 2-2, ანრი 3-2, ვიერი 3-3, ბლანი 4-3, დი ბიაჯო 4-3 (ბურთი ზედა ძელს გაარტყა).

დათო თავართქილაძე

**მატჩის შემდეგ**

**ემე ჟაკე (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩემი ბედნიერება უსაზღვროა – ჩვენ ნახევარფინალში ვართ! მართალია, მიზნის მიღწევაში ბედიც დაგვეხმარა, მაგრამ იგი ყოველთვის ძლიერთა მხარესაა. მატჩი თანაბარი იყო, ცვალებადი უპირატესობით. ბიჭებმა ჩემი დარიგება პირნათლად შეასრულეს და სათამაშო დისციპლინა არ დაარღვიეს, ფრანგებს რომ ღია ფეხბურთი ეთამაშათ, კრისტიან ვიერი და მისი მეგობრები უთუოდ დაგვსჯიდნენ. წინ ძნელი ნახევარფინალი გველის. ალბათ ჩვენს ტრადიციულ მეტოქეს-გერმანიას შევხდებით. ძალიან ძნელი ბრძოლა გველის“.

**ჩეზარე მალდინი (იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ძალიან ძნელი მატჩი იყო. ყველა ფეხბურთელმა ძალთა მობილიზებით ითამაშა. სამწუხაროდ, ფორტუნამ ზურგი გვაქცია. ვუსურვებ ჟაკეს აღსაზრდელებს წარმატებით გადაელახოთ შემდეგი ბარიერიც. ჩვენ კი ხვალვე სამშობლოში გავემგზავრებით იმ მრავალრიცხოვანი ტიფოზების თანხლებით, ვინაც ბოლომდე გვიერთგულა საფრანგეთის სტადიონებზე, მადლობა ყველას!“

**ფუტიქსის სააგენტო**



• **არგენტინა-ინგლისის** შეხვედრაში გაძევებული ბრიტანელი ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი 2 მატჩითაა დისკვალიფიცირებული, ამას გარდა, მას 3 ათასი დოლარი ჯარიმა ელის. ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელი მარცხიანი თამაშის შემდეგ ნიუ-იორკს ჩაფრინდა და იქ გასტროლებზე მყოფ თავის ახალშერთულ მეუღლეს ვიქტორია ადამსს შეხვდა. (პატარძალი ცნობილ პოპ-ჯგუფის „სფაისი გელზის“ წევრია).

• **„გლაზგო რეინჯერსის“** ყოფილი მწვრთნელი ვალტერ სმითი სათავეში ჩაუდგება „ევერტონს“. შარშან მერზისაიდელები ძლივს გადაურჩნენ პრემირე-ლიგის დატოვებას და მომავალი სეზონისათვის სერიოზულად ემზადებიან.

• **მსოფლიო** ჩემპიონატის ფინალის წინ მოსალოდნელია პარიზში შედგეს გერმანელი ფანების მიერ ნაცემი ფრანგი პოლიციელის საბენეფისო მატჩი: **„ფეხბურთი – ძალადობის გარეშე!“** – ასეთია ამ შეხვედრის დევიზი.

მოამზადა ბია ახალაძემ

**მოკლედ...**

*• **გამოთვალეს**, რომ მონდიალზე გერმანია-მექსიკის მერვედფინალური მატჩი 20 მილიონმა გერმანელმა ტელემაყურებელმა ნახა ZDF-ის არხით. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ლამის ნახევარმა ტელევიზორები მხოლოდ მეორე ტაიმში ჩართო. ეს გამოწვეულია იმით, რომ გერმანიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე ძალიან ცუდად ატარებს მატჩების პირველ ნახევარს, ხოლო შესვენების შემდეგ, თითქოსდა, ჩამორჩენის დაძლევის მიზნით ტემპს უმატებენ. სწორედ ეს პროცესი იზიდავს ყველაზე მეტად ტელემაყურებელს.*

*• **იმისთვის, რომ გერმანელმა გულშემატკივრებმა საკმაოდ შეირცხვინეს თავი ამ მსოფლიო ჩემპიონატში, გერმანიის ფეხბურთელთა კავშირმა შთაბეჭდილების შერბილება გადაწყვიტა. ამ მიზნით გულშემატკივრებს დაურიგა 20 ათასი მაისური, რომელსაც ფრანგულ ენაზე აწერია: „გერმანელები ძალადობის წინააღმდეგ“.***

*• **ინგლისის** ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მარცხში არავის ადანაშაულებს, ყველა მთელი მონდომებით თამაშობდა.*

*დევიდ ბექჰემი, რომელიც არგენტინელებთან მატჩში თამაშიდან გააძევეს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველ ორ შეხვედრას გამოტოვებს.*

*• სანამ ფიჯის ვიცე-პრეზიდენტი ონტინ ვერნერი მარსელში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს ადევნებდა თვალს, სასტუმროში მის ნომერს ეწვივნენ ქურდები და 35 ათასი დოლარი წაიღეს. ფულის დაკარგვას პირველად ვიცე-პრეზიდენტის მეუღლემ მიაქცია ყურადღება, რომელიც გვიან საღამოს დაბრუნდა შინ.*

*ფრანგულმა პოლიციამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება – როგორ მოხდა, რომ მარსელის ეს ყველაზე ძვირი სასტუმრო ქურდებისათვის ესოდენ ხელმისაწვდომი აღმოჩნდა.*

*• **ბრაზილიის** ნაკრებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 12 მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და 10-ჯერ გავიდა მეოთხედფინალში. 4-ჯერ დაეუფლა მსოფლიო თასს.*

*გერმანელები (ადრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) 11-ჯერ გავიდნენ მეოთხედფინალში, 3-ჯერ კი დაეუფლნენ მსოფლიო საჩემპიონო თასს (58, 74, 90 წლებში).*

*1970 წლის მერე იტალიელებმა მეექვსედ მიაღწიეს მეოთხედფინალამდე, ხოლო არგენტინელებმა ბოლო 8 ჩემპიონატში მეექვსედ მიაღწიეს ტურნირის ამ ფაზამდე (მოამზადა ბია ახალაძემ).*

**სტატისტიკის მოყვარულთათვის**

**იცით თუ არა რომ...**

• **მსოფლიო** ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ყველაზე „მაღალი“ ნორვეგიის გუნდი გახლდათ – საშუალო სიმაღლეა – 184,5 სმ. შემდეგ მოდიან იუგოსლავია – 182,5 სმ, ხორვატია – 181 სმ, ბრაზილია – 180 სმ. ყველაზე ტანმორჩილი ნაკრები ამ მონდიალზე იაპონელებს ჰყავდავთ – 170 სმ.

• **ყველაზე** „გოლიათები“ არიან: ჰოლანდიის ნაკრების გოლკიპერები: ედ დეგუი 198 სმ, ედვინ ვან დერ საარი – 197 სმ, იუგოსლავიის მეკარე – ივიცა კრაალი – 197 სმ, ნიგერიელი ნვანკუ კანუ – 197 სმ, რუუდ ჰესპი – 194 სმ. ყველაზე დაბალი ფეხბურთელები იყვნენ: კოლუმბიელი თავდამსხმელი ენტონი დე ავილა – 160 სმ, ნიგერიელი – ტიჯანი ბაბანგიდა – 163 სმ.

• **ყველაზე** მძიმე ფეხბურთელია „ხარად“ წოდებული ნიგერიელი რაშიდ იეკინი. 34 წლის ვეტერანის სიმაღლე 186 სმ, ხოლო წონა – 104 კგ. მასზე 6 კგ-ით მსუბუქია დანიის უბერებელი მეკარე პიტერ შმეიხელი 188 სმ, 98 კგ. ყველაზე მსუბუქი მოთამაშეა – ტიჯანი ბაბანგიდა 63 კგ. ასაკოვანი ფეხბურთელები: შოტლანდიის მეკარე – ჯიმ ლეიტონი (დაიბადა 1958 წელს), ლოთარ მათეუსი (1961 წ.), კარლოს ვალდერამა (1961 წ.), ანდრეას კეპკე (1962 წ.) ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები: 17 წლის კამერუნელი სამუელ ეტო, ინგლისის ამომავალი ვარსკვლავი მაიკ ოუენი, იგი 1979 წელსაა დაბადებული. მასზე ერთი წლით უფროსია თანაგუნდელი რონ ფერდინანდი (1978 წ.), შემდეგ მოდიან კოლუმბიელი ფეხბურთელები: ლიდერ პრესიადო და ხორხე ბოლანო (ორივე – 1977 წ.).

• **მსოფლიო** ჩემპიონატზე აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში ავტოგოლები გაიტანეს: სამხრეთაფრიკელმა პიერ ისამ – 2, ტომი ბოიდმა (შოტლანდია), იუსუფ ჩიპომ (მაროკო), ანდონი სუბისარეტამ (ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩმა (იუგოსლავია) თითო-თითო.

• **დებიუტი** ჰქონდათ იაპონიის, სამხრეთ აფრიკის, იამაიკის ნაკრებ გუნდებს. სამხრეთ კორეისათვის კი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატი რიგით მეოთხე გახლდათ, მაგრამ ნავსი ვერა და ვერ გატეხეს. მის აქტივში ერთი მოგებაც არ არის“.

• **აქამდე** ჩატარებულ შეხვედრებში „დუბლი“ გაახერხეს: მარსელო სალასმა, მარიო სტანიჩმა, კრისტიან ვიერიმ, ლუის ერნანდესმა, არიელ ორტეგამ, სეზარ სამპაიომ, რონალდომ, სალაჰედინ ბასირმა (მაროკო), ფრანსისკო მორიენტესმა, კიკო ნარვაესმა (ორივე ესპანეთი), თეოდორ უიტმორმა (იამაიკა).

• **ჰეთ-თრიკის** შესრულება ჯერჯერობით მარტო გაბრიელ ბატისტუტამ შეძლო იამაიკასთან შეხვედრაში (5-0), აღსანიშნავია, რომ არგენტინელი ფეხბურთელი ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატზე თითო მატჩში სამი გოლი გაიტანა: 1994 წელს აშშ-ში არგენტინის მიერ ბერძნების 3-0 ძლევაში სამივე გატანილი გოლი „ბატიგოლის“ აქტივშია.

• **კამერუნის** ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართული უკანასკნელი 6 შეხვედრიდან არცერთი არ მოუგია,. ბოლოს, მან გაიმარჯვება 1990 წელს კოლუმბიასთან შეხვედრაში იზეიმა.. აღსანიშნავია, ისიც, რომ აფრიკელებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან მოყოლებული ოთხი შეხვედრა დიდი ანგარიშით წააგეს: აშშ-ს მსოფლიო პირველობაზე ბრაზილიასთან (0-3), რუსეთთან ჯერ 1990-ში (1-5), შემდეგ 1994-ში (1-6), წლევანდელ ჩემპიონატში. მორიგი კატასტროფული მარცხი იტალიასთან (0-3) განიცადეს.

• **ჩილეს** ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ბოლო 36 წლის განმავლობაში გამართული შეხვედრებიდან ვერცერთში ვერ მოიპოვა გამარჯვება. თუმცა, წლევანდელ ჩემპიონატზე ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ჯერ იტალიამ შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, ავსტრიამ კი, საერთოდ, მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეძლო ეს და ჩილეს ნაკრებს შესაძლებლობა არ მისცა დაერღვია ესოდენ არასახარბიელო ტრადიცია.

მოამზადა გოგა ლომიძემ

**სატრანსფერო ბაზარზე ესპანელებზეა მოთხოვნა**

მსოფლიო თასის გათამაშებისას განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ბობოლა გუნდების სელექციონერები, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მინდვრებზე ესპანეთის ნაკრებმა ფიასკო განიცადა, ამ გუნდის მოთამაშეებზე სატრანსფერო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. კერძოდ, 22 წლის „ბარსელონას“ გამთამაშებელი ***ივან დელაპენია*** მომავალი საფეხბურთო სეზონიდან რომის „ლაციოს“ ღირსებას დაიცავს. კატალონური კლუბის ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ივანს აშკარად არ სწყალობდა და მას ხშირად სათადარიგოთა სკამის ხეხვა უწევდა. დელაპენიას განცხადებით: „ასე სათამაშო კლასს ვერ ავიმაღლებდი და ერთადერთი გამოსავალი სხვა კლუბის მოძიება იყო. როდესაც ჩემმა აგენტმა „ლაციოს“ ვარიანტი შემომთავაზა, უყოყმანოდ დავთანხმდი – ეს დიდი გუნდია, სადაც ბრწყინვალე ვარსკვლავები თამაშობენ. მოხარული ვარ, რომ ამ კოლექტივში მარსელო სალასთან ერთად ვითამაშებ. კარგად ვიცნობ ჩილელის სათამაშო სტილს, მასთან და მანჩინისთან ერთად თავდასხმის ძლიერ ტრიოს შევქმნით.

ტაციობაა სხვა ესპანელ ფეხბურთელებზეც. 32 წლის გილერმო ამორი და „გაესპანელებული არგენტინელი“ ხუან ანტონიო პიცი დღე-დღეზე ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში“ გადავლენ.

გოგა ლომიძე

## ხულიო იგლესიასი ბურთით... და უბურთოდ

**არც** მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 35 წელიწადია არ უთამაშია ფეხბურთი მადრიდის „რეალის“ ყოფილ მეკარეს დონ ხულიო ჰოსე იგლესიას დე ლა კუევას. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიომ იგი უდიდეს მომღერლად შეიცნო.

ჟურნალისტებმა საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყების წინ ჰკითხეს 54 წლის მომღერალს, თუ ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. „ესპანეთის ნაკრები!“ – უყოყმანოდ უპასუხა ხ. იგლესიასმა.



ამჟამად ესტრადის მოყვარულთა კერპი აშშ-ში ცხოვრობს, მაიამიში. მას ახალგაზრდა ცოლი მირანდა და თოთო ბავშვი მიგელ ალეჰანდრო ჰყავს. როგორც თავად ამბობს, რეგულარულად ასრულებს დილის ვარჯიშს, ყოველდღე დადის საათნახევარი ფეხით, არ ეწევა, არ სვამს, ნარკოტიკებს არ იღებს. ჟურნალისტების მიერ შექმნილ ლეგენდას მის დონჟუანობაზე, სანახევროდ სამართლიანად მიიჩნევს.

ხ. იგლესიას ბოლო ალბომს „ტანგო“ ეწოდება. ეს ცეკვა მას ძალიან უყვარს. უკვდავი ცეკვააო, ამბობს იგი და ურჩევს ყველა შეყვარებულს იცეკვოს ტანგო და საერთოდ ხშირ-ხშირად მოისმინოს იგი... მისი შესრულებით.

– ამას წინათ ავსტრალიაში გამოვდიოდი, უზარმაზარ სტადიონზე ვმღეროდი – ამბობს ხ. იგლესიასი – ჩემი მსმენელები მეტწილად ბავშვები იყვნენ. სიმღერაზე უცებ მთელი სტადიონი აცეკვდა. ასეთი სიამოვნება არასდროს განმიცდია.

მომღერალის ოცნებობაა მომავალში სამუდამოდ დაბრუნდეს ესპანეთში.

ჟურნალ „7 დღის“ მიხედვით.

## პროფესორი სუჩილინი: ფეხბურთის ზეიმზე უცხონი ვართ!

**ვოლგოგრადის ფიზიკური კულტურის აკადემიის რექტორის პროფესორი ანატოლი სუჩილინი თავის დროზე ვოლგოგრადის „როტორის“ მარჯვენა გარემარბი იყო, ამიტომაც გულთან ახლოს მიაქვს ფეხბურთის პრობლემები.**

• ***რას ფიქრობთ იმ ცვლილებებზე, რომელიც რუსეთის ეროვნულ ნაკრებში მოხდა?***

– ეჰ, მიჭირს ლაპარაკი იგნატიევზე. იგი ხომ ჩემი ძველი მეგობარია. ჭაბუკი და ახალგაზრდული გუნდების მშვენიერი მწვრთნელი იყო, მაგრამ...

• ***ეტყობა, შემდეგ მისთვის შეუფერებელ საქმეს მოჰკიდა ხელი?***

– შესაძლოა, ასეც იყოს. იცით, რაშია საქმე. ეროვნული ნაკრების მწვრთნელს მხოლოდ დიდი სპეციალური ცოდნა კი არ უნდა ჰქონდეს. იგი აუცილებლად გამოჩენილი პიროვნება უნდა იყოს საკუთარი სამწვრთნელო იდეებით, რომელიც რკინის ხელებით უნდა განახორციელოს ისევე, როგორც ამას ბესკოვი და ლობანოვსკი აკეთებდნენ. მან ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ არაფერი დაუთმოს ნებისმიერი დონის მოთამაშეს. ამავე დროს, მასთან კონტაქტიც უნდა ჰქონდეს. ეს იოლი საქმე არ გახლავთ.

• ***დიახ, მაგრამ ეს გამოჩენილი პიროვნებები სულაც არ ისწრაფვიან სათავეში ჩაუდგნენ რუსეთის ნაკრებს...***

– ეს ძალზე სამწუხაროა. დიახ, ფეხბურთელებს რუსეთის ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი არა აქვთ, მწვრთნელებს – მისი ხელმძღვანელობის სურვილი... შედეგი? ახლა ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატს, შესანიშნავ, საზეიმო ასპარეზობას ტელევიზიის ვუყურებთ. ამ ფეხბურთის ზეიმზე უცხონი ვართ! მსოფლიოს 32 საუკეთესო ნაკრების რიცხვში ვერ მოვხვდით. ეს მაშინ, როცა ხელგვეწიფებოდა ეს 16 ფინალისტი რომ იყო.

• ***ამბობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში მძიმე სიტუაციაა, უნდა გაიგოთ: რა დროს ფეხბურთია, რა დროს სპორტია...***

– განა რუმინეთში, იუგოსლავიაში, ხორვატიაში, კოლუმბიაში, ჩილეში, თუნდაც იმავე ბრაზილიაში უკეთესი სიტუაციაა? მაგრამ ამ ქვეყნების ნაკრებები თითოეულ მატჩში ისე იბრძვიან, თითქოს ეს მათ ცხოვრებაში უკანასკნელი იყოს. ისინი თავიანთი ხალხის მიმართ, რომელმაც, შეიძლება, უკანასკნელიც კი გაიცო გუნდის საფრანგეთში გასაგზავნად, პასუხისმგებლობას გრძნობენ. მათ იციან, რომ მათ ზურგს უკან მაინც სახელმწიფო დგას. ჩვენ კი, როგორც სპორტის სფეროში, ისე კულტურის სფეროშიც სწრაფად ვკარგავთ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. ეს, საბოლოოდ რომ ვთქვათ, სულაც არ უწყობს ხელს ეროვნულ თვითშეგნებას. ამაზე თითოეულმა ქვეყანამ, ვისაც ღირსების გრძნობა აქვს განუწყვეტლივ უნდა იფიქროს.

# უიმბლდონზე...
## ნატალი ტოზია – დიდი მოულოდნელობა

ინგლისის ღია ჩემპიონატის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩება.

ვაჟთა მეოთხედფინალური მატჩებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია სამპრასისა და ფილიპუსისის შეხვედრამ, რომელიც ფავორიტის გამარჯვებით დასრულდა. სხვა ორთაბრძოლებში ჰენმანმა მოუგო კორდას, ივანიშევიჩმა – სიმერინკს, ხოლო კრაიჩეკმა, რომელიც ახლა შესანიშნავად თამაშობს, სანგინეტის. საინტერესოა, რომ 35 წლის იტალიელ სანგინეტის აქამდე რაიმე წარმატება არა ჰქონია და მისი გასვლა მეოთხედფინალში დიდ სიურპრიზად ჩაითვალა.

ამის შემდეგ წარმოიქმნა ასეთი ნახევარფინალური წყვილები: პიტ სამპრასი (აშშ) – ტიმ ჰენმანი (ინგლისი) და რიჰარდ კრაიჩუკი (ჰოლანდია) – გორან ივანიშევიჩი (ხორვატია).

დიდი სიმწვავით გამოირჩევა ქალთა ასპარეზობა. მეოთხედფინალში ჰინგისმა მოუგო „ფრენჩოუპენის“ გამარჯვებულ სანჩეს-ვიკარიოს, ზვერევამ, რომელმაც მერვედფინალში გრაფს სძლია, ამჯერადაც მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა – სელეშთან, ტოზიამ მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონ დევენპორტს, ხოლო მისმა უფროსმა დამ ვენუს უილიამსმა წააგო ნოვოტნასთან. ნახევარფინალში იანა ნოვიტნამ, რომელიც თითქმის ვეტერანად ითვლება, შეჯიბრებიდან გამოთიშა №1 ფავორიტი მარტინა ჰინგისი, ხოლო ნატალი ტოზიამ, რომელსაც ასეთი წარმატება არასოდეს ჰქონია, სძლია ნატალია ზვერევას.

*ამრიგად, დღეს, 4 ივლისს, გაიმართება ქალთა ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) და ნატალი ტოზია (საფრანგეთი).* მიმომხილველები უპირატესობას ნოვოტნას ანიჭებენ.

## სპორტი ცისფერ ეკრანზე

**4 ივლისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების გამეორება (12.35). ***I არხი, II არხი, TV-7, იბერია, საქართველოს ხმა.*** მეოთხედფინალური მატჩები (18.20; 22.50). კავკასია. მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.30). „ვარსკვლავები“ (17.30). ***OPT-1.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.15). ***PTP.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.15). ***PTP.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.20).

**5 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების გამეორება (13.00; 15.15). ***II არხი.*** სპორტული მიმოხილვა (10.20). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20-30). ***კავკასია.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.15). „ვარსკვლავები“ (18.35). ***ევრიკა.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (13.15). საქართველოს ხმა. სპორტული პროგრამა (20.15), ***OPT-1.*** სპორტული პროგრამა (9.15). ***PTP.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (20.55). ურმას ოტი პაველ ბურესთან (21.25).

**6 ივლისი, ორშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი“ (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (21.15). ***კავკასია.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.20). „ვარსკვლავები“ (17.50). ***PTP.*** ურმას ოტი პაველ ბურესთან (11.30). ***HTB.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (15.00, 1.10). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.30; 15.10). საჭადრაკო მიმოხილვა (8.10). კალათბურთი (9.55). ფეხბურთი (11.30; 20.00). ველოსპორტი (15.25). ჩოგბურთი (22.15). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 17.30; 23.00). მოტოსპორტი (12.30). მძლეოსნობა (14.00). ჩოგბურთი (16.00), სუმი (0.00). კრივი (1.00).

**7 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა. PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ნახევარფინალური მატჩი (22.50) იბერია. „ბურთი და მოედანი“ (11.45; 21.15). ***კავკასია.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (15.20). „ვარსკვლავები“ (17.50). ***HTB.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (15.00; 1.30). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). კრივი (8.15). ფეხბურთი (12.35; 20.00). კალათბურთი (13.05; 17.20). მხატვრული ტანვარჯიში (15.25). საცხენოსნო სპორტი (13.45). ჩოგბურთი (21.15), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30; 14.00; 21.30, 1.00; 3.00). ავტოსპორტი (11.30). ჩოგბურთი (15.00). მძლეოსნობა (20.00). კრივი (23.00). სუმო (0.00).

# ოლიმპიურ ტალღაზე

## მასპინძლები აპროტესტებენ

ავსტრალიელები ცდილობენ გაამართლონ მწვანე კონტინენტის სახელი და „გრიპრისის“ წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რათა სიდნეის მომავალმა ოლიმპიადამ არ ავნოს ქალაქის შემოგარენს.

მწვანეთა ერთ-ერთმა აქტივისტმა ამ დღეებში გაამტყუნა მთავრობა, რომ იგი არავითარ ზომას არ მიმართავს იმ რაიონების ტოქსიკური მჟავისაგან გასაწმენდად, სადაც თამაშები ჩატარდება. არადა, შარშან ამისათვის „მრგვალი თანხა“ – 13 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყო.

– გვარწმუნებდნენ, რომ ეს სამუშაო წლევანდელი იანვრისათვის დამთავრდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ფუჭი ლაპარაკი ყოფილა – თქვა „გრიპრისის“ წევრმა, – სიდნეის მამები ცდილობენ დაარწმუნონ „მწვანეები“.

– ეს არის პროექტი-ცდა, – განაცხადა მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა, – დაიბრუნოს ბუნებამ პირველყოფილი „სახე“ – ეს ადვილი საქმე არაა. იგი მოითხოვს დიდ დროს.

თამაშების ორგანიზატორებს ავსტრალიური დოლარის კურსის დაცემაც აღელვებთ. ეს ხელს შეუშლის სპონსორების მოზიდვას. თუმცა ამბობენ:

– რაც უფრო დაბალია დოლარის კურსი, მეტია ალბათობა იმისა, რომ ოლიმპიადას მეტი მაყურებელი დაესწრება.

## ქალები ტაისონის წინააღმდეგ

განთქმული მაიკ ტაისონი კვლავინდებურად ფართო საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იქცევს. ახლა მას ქალთა ორგანიზაციებიც დაესხნენ თავს.

ქალთა ეროვნული ასოციაცია (აშშ) თავის დროზე პროტესტს გამოთქვამდა, რომ საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ტაისონს ნება დართეს კვლავ დაბრუნებოდა რინგს, ქალები აცხადებენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა არ ჩატარდეს სასამართლო გამოკვლევა, რომელიც ტაისონს თავის მართლების საშუალებას მისცემს. შარშან, 9 ივლისს ნევადის შტატის ათლეტიკის კომისიამ ტაისონს აუკრძალა რინგზე გამოსვლა. არსებული წესების თანახმად, მოკრივეს საშუალება აქვს ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ კომისიას აპელაციით მიმართოს. ტაისონი აპირებს კიდეც ამას.

აი, რა განაცხადა ანე გლონკამ ქალთა ეროვნული ასოციაციის ნევადის ფილიალის პრეზიდენტმა.

— ნება არა გვაქვს დავუშვათ ტაისონის სპორტში დაბრუნება. როგორ მაგალითს აძლევს იგი ახალგაზრდობას? ახალგაზრდები ხომ მის მიბაძვას ცდილობენ.

## სინჯს ცრემლის არა სჯერა

თურმე ავსტრალიელი მორაგბეებიც არ ყოფილან გულგრილნი აკრძალული პრეპარატების მიმართ.

ორ ნიუკასლელ მოთამაშეს – რობი ო'დევისს და უენ რიჩარდსს 22-22 თამაშში აუკრძალეს მონაწილეობა იმის გამო, რომ მათმა ანაბოლიკის ბიოსინჯებმა დადებითი პასუხი „გასცა“.

ო'დევისი პრეპარატ ანდროსტენედიონს ღებულობდა, როგორც თავად ირწმუნება, სპეციალური დიეტის მიზნით. რიჩარდი კი სხვა სტეროიდით – სტალოზოლოლით იქცევდა თავს. გახსოვთ ეს დოპინგი, კანადელ სპრინტერ ბენ ჯონსონს რომ „გაუთქვა“ სახელი სეულში „ოლიმპიადა-88“-ზე?

საპოდინგო სკანდალის მოსმენაზე ო'დევისი ექვს საათს აცრემლებული ირწმუნებოდა:

— გაიგეთ ყველამ, წარმოდგენა არ მქონდა აკრძალულ პრეპარატს თუ ვღებულობდი. — დამიჯერეთ! სხვათა შორის, მსგავს სკანდალს ვერც მელბურნის სარაგბო კლუბი გადაურჩა. მისი სუპერლიგის მოთამაშე როდნეი ჰოუ აშკარადაა მხილებული. იგი თავს იმართლებს, რომ სტეროიდს მუხლის ტრავმის სამკურნალოდ ვხმარობდიო. მასაც 22-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

# სხვადასხვა მერიდიანზე

**გოლფი.** ირლანდიაში გაიმართა მერფის სახელობის ღია პირველობა, სადაც იმარჯვა ამერიკელმა მონტგომერიმ, მეორე იყო ტრინიდადელი ამესი, მესამე – ესპანელი გარსია.

**კალათბურთი.** ნბა-ში გაიმართა ორი შეხვედრა: „კლივლენდმა“ 92:80 სძლია „ვაშინგტონს“, ხოლო „დეტროიტმა“ – 82:65 – „ნიუ-იორკს“.

**ვაჟთა ნბა-ში** „იუტა ჯაზის“ მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა 3 წლით განაახლა კონტრაქტი თავის კლუბთან.

**ბეისბოლი.** MLB – ბეისბოლის უმაღლეს ლიგაში გაიმართა მორიგი შეხვედრები: „ვაით სოქსი“ – „ასტოს“ 4:10, „კანზას სიტი“ – „სენტ ლუისი“ 6-4, „დეტროიტი“ – „პიტსბურგი“ 9-1. „ნიუ იორკ მეტსი“ – „ტორონტო“ 10:15.

**მოამზადა ბია ახალაძემ**

## პრეტენდენტი გახდა და... მოდუნდა

ამჟამად დორტმუნდში მიმდინარე მე-18 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი იმით არის საინტერესო, რომ მან 10 განთქმულ დიდოსტატს მოუყარა თავი. მათ შორის არიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მისი ამასწინანდელი მეტოქე ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი). აი დანარჩენებიც: ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), რუსეთის სამგზის ჩემპიონი პეტრე სვიდლერი, უნგრელები პეტერ ლეკო და ზოლტან ალმაში, ინგლისელი მაიკლ ადამსი, გერმანიის №1 მოჭადრაკე არტურ იუსუპოვი და ლვოველი ალექსანდრ ბელიავსკი, რომელიც იმავე ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ სლოვენიის სახელით გამოდის.

ერთი რამ ახლავე ნათელია: შიროვი, პრეტენდენტი კი გახდა, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, მოდუნებულია. ყოველ შემთხვევაში, იგი დამარცხდა ჯერ ივანჩუკთან, ხოლო შემდეგ 18 წლის ლეკოსთან და 4 ტურის შემდეგ 1 ქულით.... უკანასკნელ ადგილზეა. ვერაფერი შედეგებია მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტისათვის, რომელიც შემოდგომაზე გარი კასპაროვს უნდა შეხვდეს.

4 ტურის შემდეგ 3 ქულით ტურნირს პეტერ ლეკო ლიდერობს.













# საფეხბურთო კროსვორდი



**თარაზულად:** 9. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონ გფრ-ის ფორვარდი, 27. საქართველოს ნაკრებისა და „სკონტოს“ მცველი, 30. „ბაიერისა“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდი, 46. „ეინდჰოვენის“ ბელგიელი თავდამსხმელი.

**შვეულად:** 6. ლეგენდარული ჩეხი მეკარე, 20. „სამპდორიას“ თავდამსხმელი, 25. 70-იანი წლების „ლივერპულის“ შოტლანდიელი ფორვარდი, ამჟამად მწვრთნელი, 32. „ბრეშიას“ გერმანელი თავდამსხმელი.

**დიაგონალურად:** 1-11. „იუვენტუსის“ პორტუგალიელი ლეგიონერი *(ფოტო)*, 1-15. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, 2-12. ნიგერიის ნაკრების წევრი, *(ფოტო)*, 2-15. გერმანიის ნაკრების წევრი, 3. რუსეთის ნაკრების წევრი. 4. ახლო წარსულში ავსტრიის ნაკრების მეკარე, 5-13. „ლივერპულის“ ახალგაზრდა მცველი, 7-13. იტალიის ნაკრების მცველი, 8-18. 80-იანი წლების ცნობილი ფრანგი მცველი, 10-19. მოსკოველი ფეხბურთელი, მელბურნის ოლიმპიური ჩემპიონი, 14-26. 60-70-იანი წლებში პოლონური წარმოშობის საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, 21-29. გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი, 22. 1984 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელი ფეხბურთელი. 23. გერმანელი თავდამსხმელი, 28-11. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ნახევარმცველი, 28-44. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ნახევარმცველი, 31-12. „პარმას“ არგენტინელი მცველი *(ფოტო)*, 30-24. ესპანეთის ნაკრების ფორვარდი, 30-35. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 31-45. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისელი მცველი, 33. 70-80-იანი წლების ჩრდილოირლანდიელი მეკარე, 37. „ბლექბერნის“ მეკარე, 37. „ჩელსის“ კაპიტანი, 38. პორტუგალიის ნაკრების მცველი *(ფოტო)*, 39. ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი. 41-47. ახლო წარსულში ცნობილი ინგლისელი თავდამსხმელი, 41-48. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი მცველი, 32-40. ერთ-ერთი საუკეთესო რუმინელი ფეხბურთელი, 43. „ინტერის“ მცველი, 44-47. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი მცველი, 45-48. აბეზარი კოლუმბიელი მეკარე, 34-29. 60-იანი წლების ცნობილი უნგრელი ნახევარმცველი, 32-42. დანიის ნაკრების მცველი.

შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

**წინა ნომერში კროსვორდის მაგიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათების პასუხები:**
მარცხნიდან — 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — ოვერატი და გერდ მიულერი; 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — ბობი მური და პელე; 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი: შვედეთი — კამერუნი. კენეტ ანდერსონისა და კალას ორთაბრძოლა.

---

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს თანამშრომელი**

**ვახტანგ ოდიშარია**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამმართველოს უფროსს ვლადიმერ კანკავას ბიცოლის გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის სპორტული სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის დირექტორს რეზო ოდიშარიას ძმის გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს რეზო ოდიშარიას ძმის გარდაცვალების გამო.**

---

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. სტოლიაროვი (რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლa8!
1. ...მფc7 2. ლd8X.
1. ...მფd7 2. ლc6X.
1. ...მფe6 2. ლd5X.
1. ...მფe5 2. ლd5X.
1. ...მფc5 2. ლc6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე